

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2011, # 1-3

ზოგადი

და

კერძო ნაწილი

I ზოგადი ნაწილი

1. დანიშნული სასჯელების ნაწილობრივი შეკრების წესი
2. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის
3. სასჯელის შემსუბუქება მეტისმეტი სიმკაცრის გამო
4. წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის განახევრება ამნისტიის საფუძველზე
5. ნასამართლობის გაქარწყლება

II კერძო ნაწილი

6. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ
7. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
 - თაღლითობა
 - მითვისება
 - ძარცვა
8. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
 - ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა
9. ნარკოტიკული დანაშაული
10. სამოხელეო დანაშაული

I ზოგადი ნაწილი

1. დანიშნული სასჯელების ნაწილობრივი შეკრების წესი

განჩინება

#701-აპ-10

12 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ.კვ-ისა და მსჯავრდებულ გ. ზ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის განაჩენით:

გ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -1000 ლარი, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -2000 ლარი, 239-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილით -5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -3000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა -6000 ლარი. გ. ზ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 16 მაისიდან.

ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 16 მაისიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -2500 ლარი.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 15 მაისს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, ქ. თ-ში, II დ-ის ხევის ბინა #...-ში მცხოვრები ა. მ-ი გამოვიდა თავისი საცხოვრებელი სახლიდან. მას ეზოში შეხვდნენ მეზობლები -ე. და რ. ა-ები, რომლებიც სვამდნენ ლუდს. ა. მ-ი გამოელაპარაკა ე. ა-ს და ჰკითხა ავტომანქანის გაყიდვის თაობაზე, თან უთხრა, რომ „შენ შენ მმასაც გაუყიდი მანქანასო“. ამ ნათქვამმა გამოიწვია ე. ა-ის გაღიზიანება, რის შემდეგაც საუბარი დაიძაბა და გადაიზარდა ურთიერთშეურაცხყოფაში, რა დროსაც მათ ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ე. ა-ზე განაწყენებული ა. მ-ი გაემართა თავის მეგობარ გ. ზ-თან ჩ-ის ქუჩაზე, რომელსაც მოუყვა ყოველივე და სთხოვა, გაჰყოლოდა საქმის გასარჩევად. გ. ზ-ე დათანხმდა მას, აიღო გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებით, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა და გაემართნენ ძმები ა-იანების სანახავად, მათ ასევე გაყვნენ გ. ზ-ის მეგობრები. დაახლოებით 30 წუთში ა. მ-ი, გ. ზ-ე და გამოძიებით დაუდგენელი პირები მივიდნენ დ-ის ხევის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ დახვდნენ ე. და რ. ა-ები და მათი მეგობრები. მისვლისას გ. ზ-მ, ა. მ-თან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ძალადობის გამოყენებით გამოხატეს აშკარა უპატივცემულობა, დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, მიაყენეს ძმებ ე. და რ. ა-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და ხმამაღლა იგინებოდნენ. გ. ზ-მ ამოიღო გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი, რასაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. აღნიშნულის შემდეგ ჩხუბით განაწყენებულმა გ. ზ-მ განიზარაზა ე. ა-ის მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, დამიზნებით ესროლა ე. ა-ს, რის შედეგადაც

მიაყენა მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კუჭის, ნაწლავებისა და მარცხენა თემოს ძვლის დაზიანებით, რაც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხს. მიყენებული დაზიანებისაგან ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო გ. ზ-ე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ.კკ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ა. მ-ის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში, აგრეთვე -განაჩენის გაუქმებას -ჯარიმის 2500 ლარის დაკისრების ნაწილში; ა. მ-ის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, მისთვის სასჯელის დანიშვნას სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

მსჯავრდებულ გ. ზ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ნ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას ან/და განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. ზ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას განზრახ მკვლელობისა და ხულიგნობის ბრალდების ნაწილში, მის ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 108-ე და 239-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნების არარსებობის გამო, თანახმად საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის შერაცხულ სასჯელს, კასატორი ითხოვს გ. ზ-ის ჯარიმის შეფარდებას, საერთო ჯამში 5000 ლარის გადახდას და გ. ზ-ის გათავისუფლებას სასამართლო დარბაზიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და მსჯავრდებულების -გ. ზ-სა და ა. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად.

მსჯავრდებულების -გ. ზ-სა და ა. მ-ის მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტობრივი გარემოებების ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეების -მ. პ-ის, თ. ა-ის, მ. ვ-ის ჩვენებებით, ბალისტიკური ექსპერტიზის # დასკვნით, კომპლექსური ბიოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის # დასკვნით, ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის # დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის # დასკვნით, ბიოლოგიური ექსპერტიზის # დასკვნით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებითა და სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

აღნიშნულ გარემოებათა გამო საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. ზ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ გ. ზ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ უსაფუძვლოდ გამო.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულ გ. ზ-ეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, მისთვის დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მკაცრია, იგი არ არის ნასამართლევი და ხასიათდება დადებითად, პალატას შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გ. ზ-ის მიმართ გამოყენებულ იქნეს განაჩენთა ერთობლიობით მისთვის დანიშნული სასჯელების ნაწილობრივი შეკრების წესი და არა აღნიშნულ სასჯელთა სრული შეკრება, რის გამოც მას სასამართლოს მიერ დანიშნული საბოლოო სასჯელი -20 წლით თავისუფლების აღკვეთა -უნდა შეუმსუბუქდეს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის საფუძველზე.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. კ-ის მოთხოვნას ჯარიმის დაკისრების ნაწილში განაჩენის გაუქმების, სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე

ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში მსჯავრდებულის გამართლების, ასევე მისი ქმედების სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით დაკვალიფიცირების ნაწილში, უსაფუძვლობის გამო.

პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენს, რომ ა. მ-მა ჩაიდინა ხულიგნობა ჯგუფურად, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ სწორედ გ. ზ-სა და ა. მ-ის შემთხვევის ადგილზე მისვლის შემდეგ მოხდა ხულიგნობა, რითაც დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატა საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ღამის საათებში ხმამაღლა ჩხუბსა და გინებაში, ასევე ერთმანეთის მიმართ ფიზიკურ ძალადობაში. ის გარემოება, რომ ხულიგნობა ჩადენილია გ. ზ-ისა და ა. მ-ის მიერ ჯგუფურად, წინასწარ შეთანხმებით, დადასტურებულია დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით. ა. მ-ი იმდენად აგრესიული იყო, რომ იგი არ დაემორჩილა მშობლების მოთხოვნას და მათი თანდასწრებით გაარტყა ხელი რ. ა-ს. ამასთან, კონფლიქტების ინიციატორი და მაპროვოცირებელი იყო ა. მ-ი.

ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ა. მ-ის ადვოკატის რ. კ-ის მოტივაციას მსჯავრდებულის ქმედების სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით დაკვალიფიცირების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. კ-ისა და მსჯავრდებულ გ. ზ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 28 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ გ. ზ-ის სასიკეთოდ:

გ. ზ-ის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნულ ძირითად სასჯელს -11 წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის -6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -3 თვე, სსკ-ის 236-ე მუხლის II ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელის -3 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -1 წელი და 9 თვე, სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის III ნაწილით დანიშნული სასჯელის -5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი -4 წელი და საბოლოოდ გ. ზ-ს მიესაჯოს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა -6000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სასჯელის დანიშვნა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის

განჩინება

#782-აპ-10

26 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -მ. და გ. ა-ების საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის განაჩენით მ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 2 დეკემბრიდან.

იმავე განაჩენით გ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 2 დეკემბრიდან.

განაჩენით მ. და გ. ა-ებს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ მათ ჩადინეს პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ჯგუფის მიერ, ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 2 დეკემბერს შსს კასპის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები -დ. გ-ი და შ. ქ-ე იმყოფებოდნენ კასპის რაიონის სოფელ ხ-ში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობის გარკვევისა და დაცვის მიზნით და ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. დაახლოებით 16 საათსა და 30 წუთზე მათ ამავე სოფელში მცხოვრები გ. და მ. ა-ების ბინიდან გაიგეს ქალის საეჭვო ყვირილის ხმა, რომელიც ითხოვდა შველას. ამის გამო, პოლიციელები -დ. გ-ი და შ. ქ-ე მივიდნენ აღნიშნულ ბინასთან და დაუძახეს იქ მყოფებს. ბინიდან ჯერ გამოვიდა მ. ა-ი, შემდეგ - მისი ძმა გ. ა-ი, რის შემდეგაც პოლიციელები შევიდნენ მათ ეზოში. პოლიციელთა დანახვაზე პირთა ჯგუფმა -გ. და მ. ა-ებმა გამოიჩინეს აგრესიულობა და მიმართეს ძალადობას, ორივე პოლიციელს დაუწყეს ლანძღვა, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. პოლიციელ დ. გ-ს გ. ა-მა და მ. ა-მა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ტანზე შემოახიეს პოლიციელის ფორმის პერანგი და ჰალსტუხი. ამის შემდეგ პოლიციელებმა შეძლეს მათგან თავის დაღწევა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -მ. და გ. ა-ებმა, რომლებმაც ითხოვეს გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის განაჩენის გაუქმება და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; გ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა -მ. და გ. ა-ებმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა საჩივრებში აღნიშნეს, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით; მ. და გ. ა-ებისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები არ დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდება და ეჭვს არ იწვევდა. მ. და გ. ა-ების მიერ ჩადენილი დანაშაული - პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით - დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულ დ. გ-ის ჩვენებით, მოწმეების -შ. ქ-ის, შ. ს-ისა და მ. თ-ის ჩვენებებით, ექსპერტიზის #994 დასკვნით, ამოღების ოქმითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატა საქართველოს სსკ-ის 57-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს დანაშაულში გ. ა-ის ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს და მიაჩნია, რომ გ. ა-ის მიმართ დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მის ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, და, გამომდინარე აქედან, თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ა-ისთვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე

მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ა-ის სასიკეთოდ, კერძოდ: მსჯავრდებულ გ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის I ნაწილით ძირითადი სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა -15 000 ლარი.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ა-ი 2009 წლის 2 დეკემბრიდან იმყოფება პატიმრობაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მას უნდა შეუმცირდეს დანიშნული ჯარიმა, რის შედეგადაც გ. ა-ს საბოლოოდ სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა -3 000 ლარი. ამასთან, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის V ნაწილით, სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების -მ. და გ. ა-ების საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულ გ. ა-ის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა -15 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, გ. ა-ს შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა -3 000 ლარი.

გ. ა-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში -მათ შორის, მ. ა-ისთვის დანიშნული სასჯელის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სასჯელის შემსუბუქება მეტისმეტი სიმკაცრის გამო

განჩინება

#785-აპ-10

24 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის განაჩენით ვ. ლ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 21 ოქტომბრიდან.

განაჩენით ვ. ლ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 21 ოქტომბერს კასპის რაიონში მცხოვრები ვ. ლ-ი იმყოფებოდა ქალაქ კასპში მდებარე რესტორანში, რა დროსაც მას მობილურ ტელეფონზე დაურეკა მეგობარმა, კასპის რაიონში მცხოვრებმა ა. ბ-მა და უთხრა, რომ მის მეგობარ ვ. ლ-თან მოუვიდა ჩხუბი ფულთან დაკავშირებით. ამასთან, სთხოვა, ასულიყო სოფელ ხ-ში, რაზეც ვ. ლ-ი დათანხმდა. ვ. ლ-ი იმ მოტივით, რომ ვ. ლ-სა და ა. ბ-ს შორის კვლავ არ მომხდარიყო ჩხუბი, წავიდა სოფელ ხ-ში და მივიდა ა. ბ-თან, რომელიც გამოიყვანა სახლიდან და დაურეკეს ვ. ლ-ს. მან უპასუხა, რომ ფეხით მოდიოდა და სოფლის ცენტრში შეხვდებოდა. დაახლოებით 24 საათზე, ხსენებულ ადგილზე შეხვედრისას, ვ. ლ-სა და ა. ბ-ს შორის კვლავ მოხდა ურთიერთშელაპარაკება. აღნიშნულზე განწყენებულმა ვ. ლ-მა შურისძიების მოტივით განზრახა ა. ბ-ის მოკვლა. მან ა. ბ-ს თანაქონიდან მიიყენა ოთხი ჭრილობა, აქედან სამი - შემავალი მუცლის ღრუში, ღვიძლისა და წვრილი ნაწლავის დაზიანებით, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ა. ბ-ი კი მიღებული დაზიანებების შედეგად განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობით საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ვ. ლ-ის ინტერესების დამცველებმა, ადვოკატებმა თ. გ-მ და ბ. მ-მა, რომლებმაც ითხოვეს გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 17 თებერვლის განაჩენის გაუქმება და ვ. ლ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. საქმის სააპელაციო წესით განხილვის დროს მსჯავრდებულმა და მისმა დამცველებმა მოითხოვეს ვ. ლ-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით და შესაბამისი სასჯელის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ვ. ლ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; წინასწარი და სასამართლო გამოძიება წარმართა ცალმხრივად და არასრულად; ვ. ლ-ისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები არ დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით და განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 ივნისის განაჩენის გაუქმებას და საქმის იმავე სასამართლოსთვის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისთვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ეჭვს არ იწვევდა. ვ. ლ-ის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულის უფლებამონაცვლე თ. ჟ-ის ჩვენებით, მოწმეების ნ. ჯ-ის, ლ. ც-ის, ბ. ლ-ის, მ. მ-ის, კ. და ჯ. ლ-ების ჩვენებებით, ბიოლოგიური ექსპერტიზის #1439/სბ დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #124 და #864 დასკვნებით, ტრასოლოგიური ექსპერტიზის #1545/ტრ დასკვნითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი ნასამართლობის არმქონეა, ხასიათდება დადებითად, არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები და თვლის, რომ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გარემოებების, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, აგრეთვე მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ვ. ლ-ისთვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ვ. ლ-ის სასიკეთოდ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის

108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -10 წლით თავისუფლების აღკვეთა -უნდა შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ ვ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -10 წლით თავისუფლების აღკვეთა -შეუმცირდეს 2 წლით და საბოლოოდ ვ. ლ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის შემსუბუქება მეტისმეტი
სიმკაცრის გამო**

განჩინება

#940-აპ-10

14 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. კ-ს დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის განაჩენით: თ. კ-ა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 3 თვის ვადით. იმავე განაჩენით დაზარალებულ ნ. ა-ს სამოქალაქო სარჩელის მიმართ წარმოება შეწყდა, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. თ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან -2009 წლის 30 სექტემბრიდან.

განაჩენით თ. კ-ს ბრალი დაედო ყაჩაღობისათვის, ესე იგი თავდასხმისათვის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით 18:20 საათზე, მთვრალი თ. კ-ა რ. გ-სთან ერთად, ქ. - მგზავრობდა - რაიონის მიმართულებით თ. კ-ს კუთვნილი " - " მარკის სამარშრუტო ტაქსით. მათ განიზრახეს მიკროავტობუსის მგზავრების კუთვნილი თანხის, მერიფასეულობისა და მობილური ტელეფონების აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად რ. გ-მ მძღოლს სთხოვა მიკროავტობუსის გაჩერება, რის შემდეგ თანაქონი დანა ყელის არეში მიაბჯინა მგზავრს -მ. ბ-ს და თ. კ-სთან ერთად

მგზავრებისგან მოითხოვა ფული, ძვირფასეულობა და მობილური ტელეფონების გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ დაზარალებულ მ. ბ-ს მკვლელობით. ამავე დროს თ. კ-მ სამარშრუტო ტაქსის მგზავრს -ნ. ა-ს ყელიდან ჩამოგლიჯა ოქროს ჯაჭვი, ღირებული 50 ლარად, ასევე ცდილობდა 250 ლარად ღირებული ოქროს ბეჭდის წართმევას, რაც ვერ შეძლო მგზავრის -ნ. დ-ს მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო. აღნიშნულის შემდეგ თ. კ-ა რ. გ-სთან ერთად ჩავიდა მიკროავტობუსიდან და შეეცადა საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ჩაის პლანტაციებში მიმალვას, თუმცა დამნაშავეების შეპყრობის მიზნით მათ დაედევნენ მგზავრი ნ. შ-ე და მიკროავტობუსის მძღოლი თ. კ-ე, რომლებმაც შეძლეს თ. კ-ს დაკავება, ხოლო რ. გ-მ შეძლო შემთხვევის ადგილიდან მიმალვა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. კ-მ. აპელანტი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, როგორც დაუსაბუთებლისა და უკანონოსი, ხოლო მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის I ნაწილით, იმ მოტივით, რომ მას არანაირი ყაჩაღობა, მით უმეტეს ჯგუფური, არ ჩაუდენია. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ თ. კ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ თ. კ-ს დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს თ. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის I ნაწილით იმავე მოტივებით, რაზეც მსჯავრდებული უთითებდა თავის საჩივარში, ან გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და თ. კ-ს ბრალდების საქმის გადაგზავნას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება დაცვის მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ თ. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე, რადგან ასეთ მოთხოვნას, უტყუარად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. დანაშაულის ფაქტი ნამდვილად რომ მოხდა და თ. კ-ა დანაშაულში ნამდვილად მონაწილეობდა, ამას თვით დაცვის მხარეც ვერ უარყოფს. კასატორის აპელირება იმ არგუმენტით, რომ ამ დანაშაულის დროს თ. კ-ს მიერ ჩადენილ ქმედებას მიეცა არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის სახით, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებები არ იძლევა საფუძველს თ. კ-ს ქმედების მარცვად დაკვალიფიცირებისათვის. სწორედ იმ მტკიცებულებებიდან, რომლებზეც კასატორი მიუთითებს თავისი პოზიციის დადასტურებისა და დასაბუთებისათვის, ირკვევა, რომ მომხდარი შემთხვევის დროს დაზარალებულებს ორი სუბიექტი ჯგუფურად დაესხა თავს. მათგან ერთ-ერთს, კერძოდ იმ პირს, რომელიც თ. კ-სთან ერთად მონაწილეობდა დანაშაულში, ხელთ ჰქონდა დანა, რომლის გამოყენებითაც ძალადობით ემუქრებოდა ერთ-ერთ დაზარალებულს, ხოლო იმავედროულად თ. კ-მ მეორე დაზარალებულს ყელიდან ჩამოგლიჯა ოქროს ძეწკვი, ასევე ცდილობდა სხვა მგზავრისათვის თითიდან წაემრო ოქროს ბეჭედი. მანამდე კი თანამზრახველთან ერთად ემუქრებოდა მგზავრებს სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით და მათგან ითხოვდა ფულისა და ძვირფასი ნივთების გადაცემას. ამ ძირითადი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებაზე გავლენას ვერ მოახდენს კასატორის მიერ თავის საჩივარში მითითებული, დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებს შორის არსებული არაარსებითი განსხვავებები, რაც სრულიად ნათლად აიხსნება იმ გარემოებით, რომ მათ ფაქტების აღქმა და დამახსოვრება უხდებოდათ ექსტრემალურ ვითარებაში, შიშისა და სტრესის ფაქტორების ზეგავლენის პირობებში.

საკასაციო პალატა განმარტავს: იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გავყვებით დაცვის მხარის ვერსიას იმის შესახებ, რომ თვითონ თ. კ-ა იმ მომენტში, როცა მეორე პირი, რომელთანაც ის არ ყოფილა შეთანხმებული, დანით ხელში ახორციელებდა ყაჩაღობას მგზავრების მიმართ, არ ემუქრებოდა დაზარალებულებს და მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ჩამოგლიჯა ყელიდან ოქროს ძეწკვი და გაიქცა, ასეთი ქმედება მაინც უნდა შეფასდეს ყაჩაღობად. აღნიშნული ქმედებით თ. კ-ა რეალურად შეუერთდა უკვე დაწყებულ და ფაქტობრივად ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ყაჩაღობას, რითაც იგი გახდა ამ დანაშაულის თანამსრულებელი, ვინაიდან თითოეული მათგანი თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა მეორის მოქმედებას. ამ გარემოებამ აღნიშნულ დანაშაულს შესძინა ჯგუფური ხასიათი,

რომლის მონაწილე წევრს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეერაცხება სხვა ამსრულებლის ქმედების დამახასიათებელი ისეთი ნიშანი, რომელიც მას შეცნობილი ჰქონდა. მსგავს შემთხვევაში ასევე შეუძლებელი იქნებოდა საუბარი თანამსრულებლის ექსცესზე, რადგან იმ მომენტისათვის, როცა თ. კ-მ თავისი ქმედება განახორციელა, ყაჩაღობა მეორე პირს უკვე დაწყებული ჰქონდა და ყველაფერი მის თვალწინ მიმდინარეობდა. თუმცა, საკასაციო პალატა თვლის და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოყენებულ ვერსიას, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, არავითარი საფუძველი გააჩნია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა თ. კ-ს ქმედება როგორც ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რის გამოც არ არსებობს ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველი.

ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობიდან გაუშვეს ის გარემოება, რომ ყაჩაღობის ჩადენისას არც თ. კ-სა და არც მის თანამზრახველ მეორე პირს დაზარალებულების მიმართ არ ჩაუდენიათ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, არამედ მათ გამოიყენეს მხოლოდ ასეთი ძალადობის მუქარა, რაც, შესაბამისად, უნდა ასახულიყო დანიშნული სასჯელის ზომაზე. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ თ. კ-სათვის განსაზღვრული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 3 თვის ვადით -არ შეესაბამება ჯგუფური ყაჩაღობის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით ჩადენისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სასჯელის დანიშვნის პრაქტიკას. ამიტომ, საკასაციო პალატის დასკვნით, მსჯავრდებულ თ. კ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის ზომა არის ზედმეტად მკაცრი, რის გამოც იგი უნდა შემცირდეს და, როგორც ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, ისე თვით მისი ჩამდენის პიროვნების გათვალისწინებით, თ. კ-ს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რისთვისაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ თ. კ-ს დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 31 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 3 თვის ვადით -შეუმცირდეს 1 წლითა და 3 თვით, რის გამოც მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის განახევრება ამნისტიის საფუძველზე

განჩინება

#1057-აპ-10

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. რ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. რ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 აპრილის განაჩენით გ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ არაერთგზის ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა და შენახვა, ასევე -ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. რ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა -500 ლარი. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში გ. რ-მა ექიმის დანიშნულების გარეშე განმეორებით, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

2009 წლის 11 ნოემბერს გ. რ-ი გადაიყვანეს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 დეკემბრის განაჩენით გ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვალა პირობით. ამავე სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი განახევრდა და მსჯავრდებულს განესაზღვრა 1 წლით, 5 თვით და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 მარტის განაჩენით გ. რ-ს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც მთლიანად დაემატა წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წელი, 5 თვე, 28 დღე და საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით, 11 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

აღნიშნულის მიუხედავად, გ. რ-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,0027 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ერთი ნატეხი, რაც მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს პოლიციელებმა, 2009 წლის 11 ნოემბერს.

გ. რ-ს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით, ხოლო 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის I¹ ნაწილის საფუძველზე გ. რ-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -4 წელი, 11 თვე, 28 დღე და საბოლოოდ მიესაჯა 12 წლით, 11 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 11 ნოემბრიდან; მასვე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული სხვა უფლებები -10 წლით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა და მოითხოვა გ. რ-ის გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 სექტემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულ გ. რ-ის ადვოკატი ა. რ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. რ-ის ადვოკატს ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგები გააცნეს მხოლოდ 2009 წლის 19 ნოემბერს, როდესაც ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება უკვე დაგვიანებული იყო, რითიც უხეშად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები; ასევე დაირღვა სსკ-ის 142-ე მუხლი და 145-ე მუხლის მე-2 ნაწილი გ. რ-ის დაკავების დროს, რადგან დაკავებული მაშინვე არ წარადგინეს პოლიციის განყოფილებაში; პირადი ჩხრეკისას დაკავებული არ იყო უზრუნველყოფილი არც ადვოკატით და არც დამსწრით. კანონის თანახმად, გ. რ-ი დაკავების შემდეგ უნდა გადაეყვანათ პოლიციის შენობაში, მოეწვიათ დამსწრეები და შემდეგ ჩატარებინათ ჩხრეკა. ჩხრეკის დროს მას ამოუღეს მხოლოდ ნარკოტიკული საშუალება და მეტი არაფერი, თუმცა ამოღებული ტელეფონი გამომძიებლისაგან ჩაიბარა გ. რ-ის ადვოკატმა და დაუბრუნა ოჯახის წევრებს. აქედან ჩანს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ბადებს ეჭვს, მით უფრო, რომ გ. რ-ს ხელი არაფერზე მოუწერია, ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი არ უარყოფს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას გაეცნო იმ დროისათვის მოპოვებულ მასალებს, მათ შორის -ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნას, მაგრამ ეს დასკვნა დაცვის მხარეს სადაოდ არ გაუხდია.

რაც შეეხება დაკავების საფუძველს, პალატის მიერ განმარტებულია, რომ ნარკოტიკული საშუალების შენახვა დენადი დანაშაულია და ნარკოტიკის ამოღება, ანუ ამ დანაშაულის შეწყვეტა დანაშაულის ჩადენისას წასწრებასა და, შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობაზე ნათლად მიუთითებს. ოქმში მითითებულია დაკავების საფუძველი, კერძოდ, გ. რ-ი ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვაში და უსაფუძვლოა კასატორის მითითებები დაკავების საფუძვლის არარსებობის, ისევე, როგორც სსსკ-ის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს. გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

ამასთან დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 13 დეკემბრის განაჩენით გ. რ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვალა პირობით. ამავე სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, გ. რ-ს გაუნახევრდა ამ სასჯელის მოუხდელი ნაწილი და განესაზღვრა 1 წლით, 5 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 მარტის განაჩენით გ. რ-ისათვის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წელი, 5 თვე, 28 დღე და განესაზღვრა 4 წლით, 11 თვით და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ვადაში მსჯავრდებულს მოხდილად ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -3 თვე და 20 დღე, რაც ასევე მხედველობაშია მისაღები.

ამდენად, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გ. რ-ს უნდა გაუნახევრდეს წინა სასამართლო გადაწყვეტილებით სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი -1 წელი, 5 თვე და 28 დღე და განესაზღვროს 8 თვით და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად უნდა ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო -3 თვე, 20 დღე და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წინა სასამართლო გადაწყვეტილებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი განისაზღვროს 3 წლით, 11 თვითა და 8 დღით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. რ-ის ადვოკატ ა. რ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს:

"ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გ. რ-ს გაუნახევრდეს წინა სასამართლო გადაწყვეტილებით სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წლით, 5 თვით, 28 დღით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 8 თვით და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა;

ბოლო განაჩენით მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს -8 წლით თავისუფლების აღკვეთას მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -3 წელი, 11 თვე, 8 დღე და გ. რ-ს საბოლოოდ მიესაჯოს 11 წლით, 11 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2009 წლის 11 ნოემბრიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ნასამართლობის გაქარწყლება

განჩინება

#972-აპ-10

14 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ე-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის განაჩენით კ. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ არაერთგზის ჩაიდინა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ე-ს მცხეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 17 ნოემბერს საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და სსკ-ის 236-ე მუხლით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა დუშეთის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 4 თებერვლის განაჩენით, ამავე კოდექსის 114-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდისაგან კ. ე-ი გათავისუფლდა 2002 წლის 6 სექტემბერს, ვადამდე -1 წლით, 3 თვითა და 24 დღით ადრე.

სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის ნასამართლევა კ. ე-მა 2009 წლის 14 სექტემბერს განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით. ამისათვის მან ღამის საათებში, თბილისში, დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან გარკვეული თანხის საფასურად დაიქირავა ტაქსი და მივიდა დუშეთის რაიონის სოფელ – დეიდაშვილის –რ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, სადაც მის მეუღლეს –გ. მ-ს მოატყუა, რომ იმ დროისათვის თბილისში მყოფ რ. ა-ს ესაჭიროებოდა თანხა, რის გამოც ამ უკანასკნელის დავალებით მას უნდა დაეკლა მათი კუთვნილი ძროხა, გაეყიდა და ფული მიეტანა რ. ა-ისათვის. გ. მ-ისაგან თანხმობის მიღების შემდეგ კ. ე-მა საქონლის სადგომიდან გამოიყვანა ძროხა, დაკლა სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, დამუშავებული ხორცი მოათავსა ტაქსიში და შემდგომი რეალიზაციისათვის წაიღო და ჩააბარა დაუდგენელ პირს თბილისში, დიდმის მასივში მდებარე ბაზრობაზე, რითიც დაზარალებულ რ. ა-ს მიადგა 800 ლარის ოდენობის ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. ე-ს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 18 სექტემბრიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა -3500 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მოითხოვა გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

კასატორი –მსჯავრდებული კ. ე-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელი და ტენდენციურია; არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ დაკითხა მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ მის უდანაშაულობას; თვითონ მასაც არ მიეცა დაზარალებულისათვის კითხვის დასმის საშუალება იმის გასარკვევად, რ. ა-ს ჰქონდა თუ არა მისი ვალი.

კასატორის განმარტებით, იგი მუშაობდა დაზარალებულთან, რომელსაც მისთვის უნდა გადაეხადა 1500 ლარი; გარდა ამისა, მსჯავრდებულის ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია და მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა ფენას, რის გამოც მან ვერ აიყვანა ადვოკატი, ამიტომ დაირღვა მისი უფლებები; ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, თვითონ მძიმე ავადმყოფია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას ან საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულმა სააპელაციო სასამართლოში მოითხოვა მხოლოდ გამომძიებლის დაკითხვა. ისევე როგორც სხვა პირები, დაზარალებული დაიკითხა განსასჯელის თანდასწრებით და ამ უკანასკნელის არაერთ კითხვას გასცა პასუხი. რაც შეეხება დამცველს, მის მომსახურებაზე საქმის წინასწარი გამოძიებისას და სააპელაციო სასამართლოში კ. ე-მა თავად განაცხადა უარი, ხოლო რაიონულ სასამართლოში განსასჯელის ინტერესებს იცავდა ადვოკატი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განხილვისას პროცესის მონაწილეთა უფლებები არ შეზღუდულა და ამასთან დაკავშირებით საჩივრის მოტივები უსაფუძვლოა. რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ისინი დადგენილია ობიექტურად და ეყრდნობა კანონიერად მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს. ამ მასალებით უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ კ. ე-მა ჩაიდინა თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამასთან, მსჯავრდებულს წინა ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს და მისი ქმედების სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არასწორია, კერძოდ:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 17 ნოემბრის განაჩენით კ. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 236-ე მუხლით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით) და მიესაჯა 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით, ამავე კოდექსის 114-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 1999 წლის 30 დეკემბრიდან. ამ სასჯელის მოხდისაგან კ. ე-ი გათავისუფლდა 2002 წლის 6 სექტემბერს პირობით, ვადაზე 1 წლით, 3 თვით და 24 დღით ადრე.

საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლდა ან მისი მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის მოხდის მომენტიდან.

მოცემულ შემთხვევაში კ. ე-ს დანიშნული სასჯელი არ შეცვლია უფრო მსუბუქით, რამდენადაც გამოსაცდელი ვადა არ არის სასჯელი და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებული სასჯელს არ იხდიდა. კ. ე-ი კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლდა 2002 წლის 6 სექტემბერს და კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, კ. ე-ს სწორედ ამ დღიდან (და არა -გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ) უნდა ათვლოდა მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ექვსწლიანი ვადა, რაც წინა -მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის მოხდიდან ბოლო დანაშაულის ჩადენის დღისათვის ფაქტობრივად გასული იყო და კ. ე-ი უნდა მიჩნეულიყო ნასამართლობის არმქონედ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კ. ე-ის მიმართ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და შეუმსუბუქდეს ძირითადი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ-ა ე-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში კ. ე-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

კ. ე-ის ქმედება საბოლოოდ დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -3 500 ლარი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნასამართლობის გაქარწყლება

განჩინება

#1073-აპ-10

14 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის განაჩენით: ვ. ბ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

მსჯავრდებულ ვ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2010 წლის 9 აპრილის 11:25 საათიდან.

განაჩენით ვ. ბ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ და მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. ბ-ი 2002 წლის 15 თებერვალს გაასამართლა გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტებით და მას მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცემი ვადით. 2002 წლის 23 ივლისს ვ. ბ-ი გაასამართლა ყვარლის რაიონულმა სასამართლომ და მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2003 წლის 28 მაისს იგი ვადაზე ადრე, პირობით გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან.

2005 წლის 19 მაისს ვ. ბ-ი გაასამართლა გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ. მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "გ", "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. ვ. ბ-ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით და საბოლოოდ მოსახდელად დარჩა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 4 თვის ვადით. იგი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 2009 წლის 16 იანვარს.

2009 წლის ოქტომბრიდან ვ. ბ-ი თავის მეუღლესთან, დ. თ-სთან ერთად ცხოვრობდა კ-ის რაიონის სოფელ ო-ი, სიდედრის, ნ. მ-ს საცხოვრებელ ბინაში მეუღლესა და სიდედრთან ერთად. მისთვის ცნობილი იყო, რომ ნ. მ-ი თავის კუთვნილ ფულს ინახავდა ბინის პირველ სართულზე, საძინებელ ოთახში, კარადაზე მდგარ ლარნაკში. ის ამავე ოთახში ინახავდა "სამსუნგის" ფირმის მობილურ ტელეფონსაც. ვ. ბ-მ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ზემოთ აღნიშნულ თანხასა და მობილურ ტელეფონს. 2010 წლის 7 აპრილს, დაახლოებით 12.00 საათზე, მან ისარგებლა იმ მომენტით, რომ ოთახში არავინ იმყოფებოდა, ფარულად დაეუფლა ნ. მ-ს კუთვნილ 100 ლარს და "სამსუნგის" ფირმის მობილურ ტელეფონს, მასში არსებულ ტელეფონის სიმბარათით. ამის შემდეგ ვ. ბ-ი წავიდა ნ. მ-ს სახლიდან და მიიმალა. ნაქურდალი ფული იმავე დღეს დახარჯა თბილისში, სადაც შეიძინა ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები, მობილური ტელეფონი კი გამორთო და ინახავდა სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკაში, თავისი მშობლების ბინაში, საიდანაც იგი ამოღებულ იქნა 2010 წლის 9 აპრილს. თავისი მოქმედებით ვ. ბ-მ ნ. მ-ს მიაყენა 250 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ბ-მ. აპელანტი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ აღნიშნული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო და არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ვ. ბ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის განაჩენი მსჯავრდებულ ვ. ბ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ვ. ბ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით, ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ვ. ბ-ს მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ვ. ბ-ს ყვარლის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის განაჩენით მსჯავრდების შედეგად წარმოშობილი ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს და მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არასწორია.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის განაჩენით ვ. ბ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა ვ. ბ-ს მიმართ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 თებერვლის განაჩენით იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მას განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2002 წლის 17 მაისიდან. ამ სასჯელის მოხდისაგან ვ. ბ-ი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლდა 2003 წლის 28 მაისს. მართალია, პირობითი მსჯავრის პერიოდში, კერძოდ, 2003 წლის 25 დეკემბერს, ვ. ბ-მ კვლავ ჩაიდინა დანაშაული, რის გამოც გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 მაისის განაჩენით იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ", "გ" და იმავე მუხლის მესამე ნაწილის "გ" და "დ" ქვეპუნქტების (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) საფუძველზე, მაგრამ სასჯელის ზომის განსაზღვრისას სასამართლოს ამ განაჩენში არ მიუთითებია განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის შესახებ და სასჯელის ზომაც ვ. ბ-ს განესაზღვრა მხოლოდ ბოლო განაჩენით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის შედეგადაც, წინა განაჩენით მსჯავრდებიდან გამომდინარე, ვ. ბ-ს ნასამართლობის გაქარწყლების ვადის დინება არ ყოფილა შეჩერებული ან შეწყვეტილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ამ განაჩენით დანიშნული რეალური სასჯელის ფაქტობრივად მოხდის დღიდან.

საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლდა ან მისი მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდელი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის მოხდის მომენტიდან.

მოცემულ შემთხვევაში ვ. ბ-ს ყვარლის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელი არ შეცვლია უფრო მსუბუქით, რამდენადაც გამოსაცდელი ვადა არ არის სასჯელი და სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებული რეალურ სასჯელს არ იხდიდა. ვ. ბ-ი კანონით დადგენილი წესით რეალური სასჯელის მოხდისაგან ვადამდე გათავისუფლდა 2003 წლის 28 მაისს და კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მას სწორედ ამ დღიდან უნდა ათვლოდა მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების არა ექვსწლიანი ვადა, არამედ სამწლიანი ვადა, თანახმად საქართველოს სსკ-ის 98-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა, რადგან იგი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისას ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, ამიტომ ამ ვადის ათვლა მას წინა-მძიმე დანაშაულისათვის რეალური სასჯელის მოხდის დღიდან დაეწყო და ბოლო დანაშაულის ჩადენის დღისათვის ის ფაქტობრივად გასული იყო. ამიტომ ვ. ბ-ს ის ნასამართლობა, რომელიც გამომდინარეობდა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის განაჩენით მსჯავრდებიდან, მის მიმართ ბოლო განაჩენის დადგენის დროისათვის უნდა მიჩნეულიყო გაქარწყლებულად და, საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იგი არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით მისი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი

დევნა უნდა შეწყდეს, ხოლო მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, როგორც ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. შესაბამისად, მას უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ვ. ბ-ს სასიკეთოდ.

ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა დაზუსტდეს ცალკეულ ნივთმტკიცებათა საკითხის ნაწილში, კერძოდ, ნ. მ-ს ბინიდან ამოღებული მობილური ტელეფონის ყუთი და ვ. ბ-ს საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული მობილური ტელეფონი "სამსუნგი", მობილური ტელეფონის სიმბარათები, სიმბარათის სამაგრი ბარათი და სააბონენტო ხელშეკრულება დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მსჯავრდების თაობაზე და ბრალდების ამ ნაწილში ვ. ბ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო მსჯავრდებულ ვ. ბ-ს ქმედება საბოლოოდ დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით.

ნ. მ-ს ბინიდან ამოღებული მობილური ტელეფონის ყუთი და ვ. ბ-ს საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული მობილური ტელეფონი "სამსუნგი", მობილური ტელეფონის სიმბარათები, სიმბარათის სამაგრი ბარათი და სააბონენტო ხელშეკრულება დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

II კერძო ნაწილი

6. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განჩინება

#1067-აპ-10

9 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. ჩ-ისა და აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორ რ. შ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენით გ. თ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და მე-19-109-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც საჯელად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 19 ნოემბრიდან.

განაჩენით გ. თ-ეს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობაში, ასევე, დამამძიმებელ გარემოებაში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 19 ნოემბერს, დაახლოებით 00.30 საათზე, გ. თ-ე იმყოფებოდა ქ. ბ-ში, ლ. ა-ის ქ. #37-ში მდებარე, დ. ზ-ის კუთვნილ პოკერ-კლუბში. იმავდროულად ამ კლუბში იმყოფებოდნენ ი. ჩ-ი, გ. ბ-ე, ა. დ-ე და მ. ზ-ე, რომელთაგან იგი იცნობდა მხოლოდ ი. ჩ-ს. დაახლოებით 10-15 წუთის თამაშის შემდეგ გ. თ-ემ მოიგო 50 ლარი და ოპერატორს ანაზღაურებინა თანხა, საიდანაც 30 ლარი შეინახა საფულეში, ხოლო 20 ლარით ისევ განაგრძო თამაში. ამ მომენტიდან 1-2 წუთში ი. ჩ-ი გავიდა გარეთ, თან გაიხმო გ. თ-ე და კლუბის შესასვლელთან მოსთხოვა მისგან ადრე ნასესხები 5 ლარის დაბრუნება. გ. თ-ემ დაუბრუნა ხსენებული თანხა, რის შემდეგაც კლუბიდან გარეთ გამოვიდა. ამ დროს მათთან მივიდა ა. დ-ე, რომელმაც გ. თ-ეს სთხოვა შესაძლებლობის ფარგლებში მისთვის ფულის სესხება, რაზედაც უარი მიიღო. ამის გამო ისინი შელაპარაკდნენ. შეამჩნია რა, რომ დაწყებული კამათი ჩხუბში გადაიზრდებოდა, ი. ჩ-ი შევიდა პოკერ-კლუბში, საიდანაც გარეთ გამოიხმო იქ მყოფი გ. ბ-ე და მ. ზ-ე. მათი გარეთ გამოსვლის შემდეგ გ. თ-ე და ა. დ-ე კამათს აგრძელებდნენ ა-ისა და გ. მ-ის ქუჩების გადაკვეთაზე. ი. ჩ-ი, გ. ბ-ე და მ. ზ-ე გაემართნენ მათი მიმართულებით. ამ დროს გ. თ-ემ მარჯვენა ხელით შარვლის ჯიბიდან ამოიღო საკეცი დანა, გაშალა იგი და განზრახ მოკვლის მიზნით რამდენჯერმე მოუქნია ა. დ-ეს, რის შედეგადაც მას მუცლის არეში, მარცხენა მხარეს, მიაყენა სხეულის მიმე, სიცოცხლისათვის სახიფათო ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა -შემავალი მუცლის ღრუში, ელენთის დაზიანებით, აგრეთვე, ნაკვეთი ჭრილობა -მარჯვენა ხელის მტევნის მე-5 თითზე, ხოლო მკვრივი, ბლაგვი საგნით ხელის მარჯვენა მტევნის მე-4 თითზე მიაყენა დაზიანება ნაჭდევის სახით. ამ დროს ა. დ-ის დასახმარებლად მივიდნენ მ. ზ-ე და გ. ბ-ე. ეს უკანასკნელი მივიდა დაჭრილ ა. დ-ის წასაყვანად, რა დროსაც, გაუჩნდა რა ორზე მეტი პირის მოკვლის განზრახვა, გ. თ-ემ რამდენჯერმე მოუქნია დანა გ. ბ-ეს და ერთ-ერთი დარტყმის შედეგად გულმკერდის არეში, მარცხენა ნახევარში, მე-6 და მე-7 ნეკნების დონეზე, უკანა აქსილარულ ხაზზე მას მიაყენა არაშემავალი ნაკვეთი ჭრილობა, რომელიც მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს. მანვე გააგრძელა თავისი დანაშაულებრივი ქმედება და ხსენებული დანა რამდენჯერმე მოუქნია მ. ზ-საც, რომელსაც ერთ-ერთი დარტყმის შედეგად მარჯვენა ბარძაყის ქვემო მე-სამედიში, გარეთა ზედაპირზე, მიაყენა 1 სმ სიგრძის ნაკვეთი ჭრილობა, რომელიც ასევე მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ა. დ-ე და გ. ბ-ე გადაიყვანეს ქ. ბათუმის #1 საავადმყოფოში, სადაც მათ ჩაუტარდათ გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ა. დ-ე მიყენებული დაზიანებების შედეგად 2008 წლის 19 ნოემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. თ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა -დ. ჩ-მა და გ. ჩ-ემ, რომლებიც თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. თ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას შემდეგი მოტივების საფუძველზე: სასამართლომ არ შეაფასა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც გამოიკვეთა სასამართლო გამოძიებით, კერძოდ: აწ გარდაცვლილი ა. დ-ე, აგრეთვე, საქმეზე დაზარალებულად ცნობილი გ. ბ-ე და მ. ზ-ე ბრალდების მოწმე ი. ჩ-ლთან ერთად მომხდარი შემთხვევისას გ. თ-ის მიმართ ახორციელებდნენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას -ყაჩაღობას, რა დროსაც მის მიმართ იყენებდნენ ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, რაც დასტურდება ობიექტური მოწმეების ჩვენებებით, ასევე -აღნიშნული პირების მიერ მსჯავრდებულ გ. თ-ისათვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებებითა და სათვალთვალო კამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირის ჩანაწერით, საიდანაც აშკარად ჩანს გ. თ-ის მიმართ ოთხი პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

აღნიშნული მტკიცებულებების ობიექტურად შეფასების ნაცვლად, სასამართლო განაჩენის დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულად ცნობილი პირებისა და ბრალდების მოწმეების ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, რითაც უსაფუძვლოდ უარყო გ. თ-ის ჩვენება და ამით ხელი შეუშალა ჭეშმარიტების დადგენას, რამაც საბოლოოდ განაპირობა უკანონო განაჩენის გამოტანა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა და 2010 წლის 8 აპრილის განაჩენით უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ. თ-ის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. თ-ის დამცველმა, ადვოკატმა გ. ჩ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ გ. თ-ის მიმართ სისხლის სამართალს საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. თ-ის ადვოკატის -გ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი: გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენი გ. თ-ის მიმართ და საქმე გადაეგზავნა იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი მითითებებით:

პალატამ ხელახლა უნდა გამოიკვლიოს ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, როგორცაა შემთხვევის ადგილზე ვიდეოთვალის მიერ გადაღებული ვიდეოფირის ჩანაწერი, ხოლო გამოკვლევის შედეგები სათანადოდ უნდა აისახოს სასამართლოს სხდომის ოქმში, ვინაიდან, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული ვიდეოფირი გამოკვლეულ იქნა, მაგრამ გამოკვლევის შედეგები არ არის ასახული არც სასამართლოს სხდომის ოქმში და არც განაჩენში, რის გამოც აღნიშნული მტკიცებულების შეფასებას, მისი ხელახლა გამოკვლევისა და ამ გამოკვლევის შედეგების სათანადოდ დაფიქსირების გარეშე, სააპელაციო სასამართლო ვერ შეძლებს. საქმის ხელახლა განხილვისას და განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ ბრალდების მტკიცებულებების თანაბრად უნდა განიხილოს და შეაფასოს დაცვის მხარის მტკიცებულებები -დაცვის მოწმეთა ჩვენებები, აგრეთვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნები მსჯავრდებულ გ. თ-ისათვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებების თაობაზე, რადგან სასამართლოები უარყოფენ მსჯავრდებულის ჩვენებას, რომელშიც ის მიუთითებს, რომ კონფლიქტის დროს მას, ძირს დაცემულს, ხელებითა და ფეხებით სცემდნენ დაზარალებულები, რის გამოც იძულებული გახდა, თავის დაცვის მიზნით დანა ამოეღო, მაშინ, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებში პირდაპირ არის მითითებული მსჯავრდებულ გ. თ-ისათვის მიყენებულ სხეულის დაზიანებებსა და ტვინის შერყევაზე, ხოლო განაჩენებში სასამართლოებს არა აქვთ ახსნილი, სად, როდის, ვისგან და რა ვითარებაში მიიღო ეს დაზიანებები გ. თ-ემ.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ კრიტიკულად უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლო გამოძიებისას, ასევე ერთმანეთთან შეაჯეროს წინააღმდეგობები; ამასთან, უნდა დაასაბუთოს, რომელ მტკიცებულებებს იზიარებს, რა საფუძველზე და რატომ არ იზიარებს საპირისპირო მტკიცებულებებს.

საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა შეამოწმოს არა მარტო გ. თ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობა, არამედ ისიც, ქმედების ჩადენისას ხომ არ იმყოფებოდა იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ანდა მან ქმედება ხომ არ ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ვინაიდან ასეთი შესაძლებლობებისგან არც ერთი არ არის გამორიცხული.

საქმის ხელახალი სააპელაციო განხილვისას მსჯავრდებული და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები დაეთანხმნენ თავიანთ სააპელაციო საჩივარს და მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმავე საფუძველზე და მოტივებით.

სააპელაციო პალატის სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელმა მხარი არ დაუჭირა მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატების სააპელაციო საჩივარს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენი მიიჩნია კანონიერად, დასაბუთებულად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

გ. თ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 113-ე მუხლზე, ხოლო სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 120-ე მუხლზე -გ. ბ-ისა და მ. ზ-ის დაზიანების ეპიზოდებში.

გ. თ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით -3 წლით, სსკ-ის 120-ე (გ. ბ-ის ეპიზოდი) მუხლით -1 წლით, ხოლო სსკ-ის 120-ე (მ. ზ-ის ეპიზოდი) მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შვირთხის წესით, გ. თ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის ნივთმტკიცებათა ნაწილში, დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. თ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ჩ-ემ და აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა რ. შ-ემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულ გ. თ-ის ადვოკატმა გ. ჩ-ემ საჩივრით ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა, ალტერნატივის სახით კი მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქება. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რომელთაც შეეძლოთ, არსებითად ემოქმედათ საქმის განხილვის შედეგზე.

პროკურორმა რ. შ-ემ საჩივრით ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება და საქმის გაგზავნა ხელახალი სასამართლო განხილვისათვის მისი გამკაცრების მიზნით, რადგან მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით უდავოდაა დადგენილი ა. დ-ის განზრახ მკვლელობა და ორი პირის -გ. ბ-ისა და მ. ზ-ის განზრახ მკვლელობის მცდელობა. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი და, აქედან გამომდინარე, ეს არის დანაშაულის ისეთი კვალიფიკაცია და სასჯელი, რომლებიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ გ. თ-ის ადვოკატის -გ. ჩ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის, ალტერნატივის სახით კი მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, კერძოდ, კასატორმა აღნიშნა, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რომელთაც შეეძლოთ, არსებითად ემოქმედათ საქმის განხილვის შედეგზე.

ასევე არ იზიარებს პროკურორ რ. შ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებისა და მისი გამკაცრების მიზნით, საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნის თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და ამდენად, ვერ გაიზიარებს პროკურორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით უდავოდაა დადგენილი ა. დ-ის განზრახ მკვლელობა და ორი პირის -გ. ბ-ისა და მ. ზ-ის განზრახ მკვლელობის მცდელობა.

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით: "მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა". აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, პალატა თვლის, რომ გ. თ-ისათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ. იგი სავსებით უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია, სამართლიანობის აღდგენა და მიაჩნია, რომ ამჟამად მსჯავრდებულისათვის სასჯელის გამკაცრების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ მოპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და დადასტურებულად მიაჩნია მსჯავრდებულ გ. თ-ის ჩვენება, რომელიც აღნიშნავს, რომ მან ჩხუბის დროს ნამდვილად გამოიყენა დანა თავის დასაცავად, ასევე -იმ ფაქტს, რომ აწ გარდაცვილმა ა. დ-ემ გ. თ-ეს ნამდვილად მოსთხოვა ფული, რაზეც უარის მიღების შემდეგ ა. დ-ემ სცემა მას. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას პალატა დადგენილად მიიჩნევს სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ ა. დ-ემ გ. თ-ეს მოსთხოვა ფული, ადასტურებენ როგორც დაცვის მხარის მოწმეები -ბ. კ-ე და გ. მ-ე, ასევე ბრალდების მოწმე ი. ჩ-იც, მეტიც, აღნიშნული გარემოება გაზიარებულია საბრალდებო დასკვნასა და განაჩენშიც, ხოლო საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #2749/1-1538 დასკვნით დადგენილია, რომ გ. თ-ეს აღნიშნებოდა კანკეშა ჰემატომა თხემის არეში, თავის ტვინის შერყევა, ასევე -სხეულისა და გულ-მკერდის დაჟეჟილობა, რაც ერთობლიობაში მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. ამასთან, აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება საქმეში არ არსებობს. როგორც სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმიდან

ჩანს, პოკერ-კლუბის წინ არსებული ვიდეოთვალის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ზუსტად შემთხვევის დროს სამი პიროვნება გამოდის პოკერ-კლუბიდან და კამათობენ, რა დროსაც ერთი პირი ცდილობს პოკერ-კლუბში დაბრუნებას, მაგრამ ორ პირს ძალით მიჰყავს იგი შენობის გასწვრივ. იმავე ოქმიდან გამომდინარე ირკვევა, რომ სამთაგან ერთი, ვინც კლუბში დაბრუნებას ცდილობდა, იყო გ. თ-ე, ხოლო ორი მოძალადე - ი. ჩ-ი და ა. დ-ე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად ცნო, რომ შემთხვევის დროს აწ გარდაცვლილმა ა. დ-ემ მსჯავრდებულ გ. თ-ეზე განახორციელა არამართლზომიერი ძალადობრივი ქმედება, რაც გამოიხატა ფულის მოთხოვნასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ამასთან, აღნიშნული შეუიარაღებელი ძალადობის აღსაკვეთად გ. თ-ის მიერ გამოყენებული თავდაცვითი ქმედება - მის ხელთ არსებული დანის სიცოცხლისათვის საშიშ არეში მთელი ძალით დარტყმა, აშკარად შეუსაბამო იყო ა. დ-ის მიერ მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და მოსალოდნელ საშიშროებასთან. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეცვალა მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაცია და გ. თ-ის ქმედება ა. დ-ის განზრახ მკვლელობის ნაწილში სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 113-ე მუხლზე - მკვლელობაზე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებაზე.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის ქმედება გ. ბ-ის მიმართ ჩადენილ განზრახ დანაშაულში, როცა ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) გადააკვალიფიცირა სსკ-ის 120-ე მუხლზე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), რადგან დაზარალებულების - გ. ბ-ისა და მ. ზ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ მათ დაზიანება მიიღეს გ. თ-ის მიერ დანის მოქნევის შედეგად მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ჩხუბისას დანით დაჭრა ა. დ-ე, ხოლო ისინი ცდილობდნენ მათ გაშველებას. საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სამივე დაზარალებული ერთიანი განზრახვით მოქმედებდა. თვით დაცვის მოწმეებიც - ბ. კ-ე და გ. მ-ე ადასტურებენ რამდენიმე პირს შორის მომხდარ ჩხუბის ფაქტს და რომ ამ ჩხუბის დროს ესმოდათ ფულის გადაცემის მოთხოვნაც, მაგრამ ვერ აკონკრეტებენ, ერთი თუ რამდენიმე ადამიანის მხრიდან მომდინარეობდა ეს მოთხოვნა.

აღნიშნული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით სასამართლომ დადასტურებულად ცნო, რომ მსჯავრდებული გ. თ-ე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ა. დ-ის დანით დაჭრის შემდეგ აგრძელებდა დანის ქნევას, რაც მოხვდა გასაშველებლად მისულ გ. ბ-ეს - გულმკერდის უკანა მხარეს (არშემავალი ჭრილობა) და მ. ზ-ეს - მუხლსზედა არეში. ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #... და #... დასკვნების თანახმად, გ. ბ-ისადმი მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ხოლო მ. ზ-ისადმი მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ამდენად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #... დასკვნის თანახმად, მ. ზ-ის მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, მიყენებული დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, არ მოიცავს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის შემადგენლობას, ვინაიდან პირის ამ მუხლით ბრლდებისათვის აუცილებელია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ გამოიწვიოს დაზარალებულის ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა, რასაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, დაზიანებათა რაოდენობის, ხარისხის, ხასიათის, ლოკალიზაციის და დანაშაულის ჩადენის ვითარების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. თ-ეს არ ჰქონია გ. ბ-ისა და მ. ზ-ის მოკვლის განზრახვა, მით უმეტეს, რომ არ ჰქონდა მათი მოკვლის რაიმე მოტივი, იგი მხოლოდ თავს იცავდა მათი თავდასხმისაგან, თუმცა დანის ქნევის დროს უშვებდა და ეგუებოდა ზედაპირული ჭრილობის მიყენებას მასთან მიახლოებულ პირებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. თ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 120-ე (მ. ზ-ის ეპიზოდი) მუხლით - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

გ. თ-ე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით -3 წლით, ხოლო სსკ-ის 120-ე (გ. ბ-ის ეპიზოდი) მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, გ. თ-ეს საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის ნივთმტკიცებათა ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. თ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. ჩ-ისა და აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორ რ. შ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. თ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 120-ე (მ. ზ-ის ეპიზოდი) მუხლით -ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

გ. თ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით 3 წლით, ხოლო სსკ-ის 120-ე (გ. ბ-ის ეპიზოდი) მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, გ. თ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის ნივთმტკიცებათა ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

თაღლითობა

განჩინება

#736აპ-10

10 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. წ-ს, ასევე ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. გ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე, ჯარიმა -1500 ლარი; სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და იმავე მუხლის მესამე ნაწილის "დ" ქვეპუნქტების საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა -1000 ლარი. აღნიშნული სასჯელები საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე შეიკრიბა მთლიანად, რის შედეგადაც ლ. გ-ს სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით და ჯარიმა -2 500 ლარი. მსჯავრდებულ ლ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან -2009 წლის 16 ივლისიდან. იმავე განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ლ. გ-ს მიმართ ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რის შედეგადაც მას სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა -2 500 ლარი.

მებნილ ლ. გ-ს ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს განაჩენით მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. მანვე ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩ-ი მცხოვრები ლ. გ-ი, ოზურგეთის რაიონულ პროკურატურაში 2007 წლის 27 ნოემბერს მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ლანჩხუთის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; დანიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე პირობით არ იქნა აღსრულებული და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 3 წელი, დამატებითი სასჯელის სახით კი დაეკისრა ჯარიმა -3000 ლარი.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ახალი დანაშაული, კერძოდ, 2008 წლის ივლისში ლ. გ-მა განიზრახა თაღლითობის გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ს-ში მცხოვრები ბ. კ-ს კუთვნილ "- " მარკის ავტომანქანის ძარას. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე თვის შუა რიცხვებში მან სოფელ ს-ში მდებარე საბურავების შემკეთებელ საამქროში მიაკითხა ბ. კ-ს და მოატყუა, რომ მისგან 200 კგ თხილის სანაცვლოდ შეიძენდა მის კუთვნილ "- " მარკის ავტომანქანის ძარას, მასზე არსებული სათადარიგო დეტალების გარეშე, რაზეც ბ. კ-მ თანხმობა უთხრა და შეუთანხმდა, რომ ძარა წაეღო თანასოფელელ ვ. თ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოდან მას შემდეგ, როცა იგი მოხსნიდა მასზე არსებულ დეტალებს. ლ. გ-ს განზრახული ჰქონდა რა ძარას თაღლითური გზით დაუფლება, იგი იმავე დღეს მივიდა ვ. თ-ს საცხოვრებელ სახლში და მოატყუა ეს უკანასკნელი, რომ ძარა შეძენილი ჰქონდა ბ. კ-ს და შეთანხმებული იყო მის წაღებაზე, როგორც ბ. კ-სთან, ისე მის ვაჟიშვილთან -ზ. თ-სთან. რადგანაც ლ. გ-მა მოტყუების გზით შეცდომაში შეიყვანა და თავისი ნათქვამის სისწორეში დაარწმუნა ვ. თ-ე, იგი დაეთანხმა და ლ. გ-მა გამოძიებით დაუდგენელი პირის დახმარებით ძარა დადო გ. ა-ს მართვის ქვეშ მყოფ "- " მარკის ტრაქტორზე და შემდგომში რეალიზაცია გაუკეთა ასევე გამოძიებით დაუდგენელ პირზე, აღებული თანხა კი მოიხმარა პირადი საჭიროებისამებრ, რითაც დაზარალებულ ბ. კ-ს მიაყენა 400 ლარის ზიანი.

2009 წლის 22 მარტს, ლ. გ-ი იმყოფებოდა რა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩ-ში, - დაახლოებით 20 საათსა და 20 წუთზე, ამავე სოფელში მცხოვრები ნ. ც-ს სახლის ეზოში შესასვლელ ჭიშკართან შენიშნა ლ. ც-სთან სტუმრად მყოფი თანასოფელელ ხ. ც-ის კუთვნილი "- " მარკის ავტომანქანა და განიზრახა მისი ფარული დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი მივიდა ავტომანქანასთან, რომელიც ჩაკეტილი არ იყო და ელექტროსადენების გადაერთების გზით ფარულად გაიტაცა აღნიშნული ავტომანქანა ღირებული 1300 ლარად. გზაში მოძრაობისას ლ. გ-ი შეხვდა ფეხით მოსიარულე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ გ-ში მცხოვრებ ბ. ს-ს, რომელიც ჩაისვა ავტომანქანაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელისათვის ლ. გ-საგან ცნობილი გახდა, რომ მას სხვისი ავტომანქანა ფარულად ჰყავდა დაუფლებული, მან გააჩერებინა გატაცებული ავტომანქანა და გადმოვიდა მანქანიდან, ხოლო ლ. გ-მა კი განაგრძო მოძრაობა სოფელ ს-ს მიმართულებით. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მან ვერ უზრუნველყო ფარულად დაუფლებული ავტომანქანის უსაფრთხო მართვა, გადავიდა შემხვედრი მოძრაობის ზოლზე და შეეჯახა სოფელ ჩ-ში მცხოვრები მ. კ-ის საკარმიდამო ნაკვეთის მავთულხლართის ღობეს, შემდეგ კი აღნიშნულ ნაკვეთში მდგარ ნაძვის ხეს. ამავე დროს იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა დაზიანებულ ავტომანქანაში არსებულ „ს-ს“ ფირმის მაგნიტოფონს სამცალ კასეტასთან ერთად, სულ ღირებულს 45 ლარად, სალონის სარკეს, ღირებულს 10 ლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. გ-ს დამცველმა, ადვოკატმა გ. წ-მ და ითხოვა მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ ზემოაღნიშნული ავტომანქანის ძარასთან დაკავშირებით ბ. კ-სა და მსჯავრდებულს შორის დამყარდა სამოქალაქო -სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო აღნიშნული სახის ურთიერთობები მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით; ამდენად, მსჯავრდებულის ქმედება არ გასცილებია კანონით დაწესებული თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის ჩარჩოებს და მის მიერ თაღლითობა ჩადენილი არ ყოფილა. შესაბამისად, ადვოკატ გ. წ-ს მიაჩნდა, რომ ამ ნაწილში ლ. გ-ის მიმართ საქმე უნდა შეწყვეტილიყო. რაც შეეხება ქურდობის ეპიზოდს, აპელანტმა გ. წ-მ მიუთითა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი, ისევე როგორც ბრალდება, უნდა ემყარებოდეს უტყუარ

მტკიცებულებებს. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არის მხოლოდ ბ. ს-ის ჩვენება და, ამდენად, მხოლოდ მისი ჩვენება არ შეიძლება დასაჯების ყოფილიყო ბრალის წარსადგენად, რადგან კანონმდებელი ავალდებულებს გამოძიებას ყველა მტკიცებულების ერთობლივად შეფასებას, ობიექტურ მოსაზრებებზე აგებული ბრალდება კი უნდა დადასტურდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით. მსჯავრდების ამ ეპიზოდთან დაკავშირებით აპელანტმა მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ნ. გ-მ განაცხადა, რომ ლ. გ-ი მას არ დაუნახავს, მაგრამ დაინახა შუქანთებულზე როგორ ჩაირბინა ბ. ს-მა. ამდენად, გამოძიება რომ ობიექტურად ჩატარებულიყო, ის უნდა დაინტერესებულიყო ბ. ს-ს პიროვნებით, როდესაც ნ. გ-მ პროცესზე ასეთი განცხადება გააკეთა. ამასთან, აპელანტი უთითებდა რა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ალიბოზე, როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებაზე, განაცხადა, რომ მომხდარი შემთხვევის დღეს - 2009 წლის 22 მარტს ლ. გ-ი იყო ძებნილი და იმყოფებოდა ხ-ში ნათესავებთან.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2010 წლის 7 მაისის განაჩენით ცვლილება შეიტანა ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის განაჩენში, კერძოდ: ლ. გ-ი გამართლდა და ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და იმავე მუხლის მესამე ნაწილის "დ" ქვეპუნქტებითა და ასევე იმავე კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდებში. ამასთან, ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა -1500 ლარის ოდენობით. იმავე განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა ლ. გ-ს მიმართ ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რის შედეგადაც მას სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ასევე ჯარიმა -1 500 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. გ-მა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა გ. წ-მ, ასევე ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შ. ჩ-მ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები - მსჯავრდებული ლ. გ-ი და მისი დამცველი, ადვოკატი გ. წ-ე იმავე მოტივებით, რაზეც მათ მითითებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივარში, ითხოვენ მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი შ. ჩ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განაჩენი ლ. გ-ს მიმართ კვალიფიკაციისა და, შესაბამისად, სასჯელის ნაწილში არის უკანონო, რის გამოც ითხოვს, გაუქმდეს გასაჩივრებული განაჩენი და საქმე ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. კასატორი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე: შ. ჩ-ს განმარტებით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ლ. გ-ის მიერ ბ. კ-საგან თაღლითური გზით დაუფლებული ავტომანქანის ძარას ღირებულების განსაზღვრისას დაეყრდნო მხოლოდ ამ უკანასკნელის ჩვენებას, რაც არ წარმოადგენდა დასაჯების მტკიცებულებას მნიშვნელოვანი ზიანის დადგენისათვის, თუმცა ამავდროულად სასამართლომ უგულვებელყო საქმის მასალებით უდავოდ დადგენილი გარემოება, კერძოდ, ის ფაქტი, რომ დაზარალებულმა ბ. კ-მ და ზ. თ-მ 2008 წლის ზაფხულში 500 ლარად შეიძინეს აღნიშნული ავტომანქანის ძარა, საიდანაც ამოიღეს ძრავა, გარკვეული სახის სათადარიგო ნაწილები კი გაასხვისეს და მასზე დარჩენილი სათადარიგო ნაწილების მოხსნის შემდეგ ცარიელი ძარა 400 ლარად, ანუ 200 კილოგრამი თხილის სანაცვლოდ, უნდა წაეღო ლ. გ-ს. ასევე დადგენილია, რომ ლ. გ-ს ოჯახის წევრებმა დაზარალებულს სრულად აუნაზღაურეს ზიანი, კერძოდ, მიუტანეს 400 ლარის ღირებულების შეშა. შ. ჩ-ს განმარტებით, ზემოთითხსნილი გარემოებები ადასტურებს, რომ ლ. გ-ს, საქმეში არსებულ მასალებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სწორად ჰქონდა წარდგენილი ბრალდება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (მნიშვნელოვანი ზიანი), ვინაიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეკონომიკური დანაშაულისათვის მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის ღირებულება 150 ლარს ზევით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ძარას ღირებულება შეადგენდა 400 ლარს და ამდენად, ლ. გ-ის ქმედებით დაზარალებულ ბ. კ-ს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი. რაც შეეხება ლ. გ-ის მხრიდან ხ. ც-ს კუთვნილი ავტომანქანის ფარული დაუფლების ფაქტს, პროკურორი შ. ჩ-ს განცხადებით, სასამართლო დაეყრდნო მოწმე ბ-ი ს-ს შეცვლილ ჩვენებას მხოლოდ იმ მი-

მართებით, რომ თითქოს ლ. გ-ს ხ. ც-ის კუთვნილი "ვაზ 21011" მარკის ავტომანქანა არ მოუპარავს და ხსენებული დანაშაული ჩაიდინა თვითონ. აღნიშნული სახის ჩვენებით ბ. ს-მა უარყო წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციით საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე მიცემული ლ. გ-ის მამხილებელი ჩვენება, სადაც იგი უთითებდა, რომ 2009 წლის 22 მარტს, დაახლოებით 20 საათსა და 20 წუთზე, ფეხით მიდიოდა ლანჩუთის რაიონის სოფელ შ-ში, რა დროსაც მას ავტომანქანა "ვაზ 21011-ით" წამოეწია თავისი ნაცნობი ლ. გ-ი, რომელმაც იგი ავტომანქანაში ჩაისვა. მოძრაობისას ლ. გ-მა მას უთხრა: "ხსენებული ავტომანქანა აახია ზ. ც-ს", რის შემდეგაც მან გააჩერებინა ავტომანქანა ლ. გ-ს და გადმოვიდა, ხოლო ამ უკანასკნელმა გზა გააგრძელა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, როდესაც მიუახლოვდა მ. კ-ს საკარმიდამო ნაკვეთს, დაინახა, რომ მითითებული ავტომანქანა ხეს იყო შეჯახებული და იქვე შეკრებილი იყვნენ მეზობლები, ხოლო ლ. გ-ი ადგილზე არ იმყოფებოდა და ისე, რომ იქ მყოფებს არ მისალმებია, განაგრძო გზა. პროკურორის განმარტებით, მოწმე ბ. ს-ს ჩვენებების შეცვლა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მასზე ბათუმის #3 საპრობილეში გარკვეული სახის ზეწოლას ახორციელებდა ლ. გ-ი, რის გამოც მან თავის თავზე აიღო ხ. ც-ს ავტომანქანის ქურდობის ფაქტი. ამასთან, შ. ჩ-ე უთითებს მოწმე ვ. მ-ს ჩვენებაზე, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ მას გზაში ფეხით მოძრაობისას ჩამოუარა სოფელ ს-ის მიმართულებით მოძრავმა "-" მარკის ავტომანქანამ, რის შემდეგაც იგი შევიდა ეზოში, რა დროსაც გაიგონა შეჯახების ხმა. ეზოდან გამოსულმა დაინახა, რომ ავტომანქანა, რომელმაც მას გვერდით ჩაუარა, მეზობლის ეზოში ხეს შეჯახებოდა. იგი კვლავ თავის ეზოში დაბრუნდა და იმყოფებოდა ჭიშკართან. ამ დროს მის ჭიშკართან ფეხით გაიარა მისმა ნაცნობმა ბ. ს-მა, რომელიც მიდიოდა შეჯახებული ავტომანქანის მიმართულებით, სოფელ ს-ს მხარეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. გ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ლ. გ-ს თაღლითობა არ ჩაუდენია, რის გამოც ბრალდების ამ ნაწილში იგი უნდა გამართლდეს, რადგან საქმეში არსებობს კანონიერი გზით მოპოვებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, დაზარალებულისა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებების სახით, რომლებითაც დასტურდება აღნიშნული ბრალდება, რომ ლ. გ-მა ნამდვილად ჩაიდინა მოტყუებით დაზარალებულ ბ. კ-ის კუთვნილი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება და მისაკუთრება. აღნიშნული მტკიცებულებები არ არის გაბათილებული რაიმე სხვა სარწმუნო მტკიცებულებებით, რის გამოც დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების ამ ნაწილში ლ. გ-ის უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ასევე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ლ. გ-ის მიერ თაღლითური ქმედებით დაზარალებულ ბ. კ-სათვის მნიშვნელოვანი ოდენობის ზიანის მიყენება არ დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის საგანი, რომელიც მისაკუთრა დამნაშავემ, აღმოჩენილი არ არის, ზიანის მოცულობა განისაზღვრება საქმეში არსებული არაპირდაპირი მტკიცებულებებით, რომლებიც უნდა შეფასდეს ერთობლივად. მოცემულ შემთხვევაშიც არსებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ზიანის მოცულობა უნდა განისაზღვროს დაზარალებულის ჩვენებიდან გამომდინარე, ამ ჩვენების საქმის სხვა გარემოებებთან შეჯერების გზით. საქმეში არსებული მტკიცებულებებით კი დგინდება, რომ ავტომანქანის ძარა თავისი ძრავითურთ დაზარალებულს შემენილი ჰქონდა 500 ლარად, რის გამოც ძრავას გარეშე ძარას ღირებულება, სულ მცირე, 150 ლარზე მეტი მაინც იქნებოდა, რასაც არაპირდაპირ ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მხარეების მოლაპარაკების თანახმად, ძარას თან ჰქონდა სხვა სათადარიგო ნაწილებიც, რომლებიც უნდა მოეხსნა დაზარალებულს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წაეღო მსჯავრდებულს, მაგრამ ეს პირობა ამ უკანასკნელმა არ შეასრულა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მართებულად მიაჩნია თაღლითობის ნაწილში მსჯავრდებულ ლ. გ-ის ქმედების ის კვალიფიკაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, რაც იმას ნიშნავს, რომ ლ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებასთან ერთად ბრალად უნდა შეერაცხოს, აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაც.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ლ. გ-ის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში გამართლების ნაწილში დაუსაბუთებელია, რაც გამოწვეულია იმით, რომ სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, არ შეაფასა სრულად და საფუძველიანად. სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ მტკიცებულებების ერთი ნაწილის შესახებ, კერძოდ, მხედველობაშია მოწმე ბ. ს-ის შეცვლილი ჩვენება და მოწმე ნ. გ-ს ჩვენება, ხოლო სხვა მოწმეებისა და დაზარალებულ ხ. ც-ის ჩვენებები შეფასებულია ზერეულად. ამასთან, სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია შემდეგ გარემოებებს: მოწმე ბ. ს-მა შეცვლილი ჩვენების მიცემისას ვერაფრით ვერ ახსნა -რატომ მაინცდამაინც ლ. გ-ს დააბრალა ქურდობა და არა ვინმე სხვას; ამავე მოწმის მიერ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მის მიერ ვითომდა არასწორი ჩვენებების მიცემის ახსნა მისი სტრესულ მდგომარეობაში ყოფნით ძალზე არადაამაჯერებელია, რადგან აღნიშნული ჩვენებები შინაარსობრივად იმდენად თანმიმდევრული და დალაგებულია, რომ შეუძლებელია ასეთი ჩვენება მიეცა ფსიქიკურად არანორმალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს; მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოში მოწმე ბ. ს-ს მხარეებმაც და სასამართლომაც საკმაო რაოდენობის შეკითხვები დაუსვეს, ამ შეკითხვებით არ იქნა გარკვეული და დაზუსტებული რიგი მნიშვნელოვანი გარემოებები: მაგალითად, რატომ გადაწყვიტა ბ. ს-მა დაზარალებულ ხ. ც-ს ავტომანქანის გატაცება; სად წაიღო მან ავტომანქანიდან მის მიერ ამოღებული მაგნიტოფონი და კასეტები; როგორ აღმოჩნდა ეს ნივთები სხვა პირთან, რომლისგანაც შემდგომში გამოძიების მიერ იქნა ამოღებული; რა ეცვა მას იმ სადამოს, როდესაც აღნიშნული შემთხვევა მოხდა; დაუდგენელია ასევე სხვა დეტალებიც, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოწმე ბ. ს-ის ჩვენების სარწმუნოების შესამოწმებლად.

სააპელაციო სასამართლოში ჩატარებული გამოძიებით ასევე არ გარკვეულა და არ აღმოფხვრილა დაზარალებულ ხ. ც-სა და მოწმე ნ. გ-ს ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობები იმ თვალსაზრისით, რომ ხ. ც-ს ჩვენების მიხედვით, შემთხვევის ადგილზე მყოფმა ნ. გ-მ განაცხადა, რომ მან ვერ იცნო ის პირი, რომელიც ხეს შეჯახებული ავტომანქანის მხრიდან გამოქცეული დაინახა. სასამართლოში არ დაუსვამთ კითხვები ნ. გ-სათვის ამ მომენტის თაობაზე. სასამართლოში საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მოწმე მ. დ-ს არ დაუსვეს კითხვები იმის თაობაზე, რომ, მართალია, მისი ჩვენების მიხედვით, სიბნელეში მან ვერ გაარჩია, ხეს დაჯახებული ავტომანქანიდან გადმომხტარი და გაქცეული ადამიანი ვინ იყო, მაგრამ შეეძლო თუ არა მას სილუეტის მიხედვით გაერჩია, გაქცეულს თავზე ქუდი ეხურა თუ არა. ამ დეტალის გარკვევა მნიშვნელოვანი იყო შემთხვევის ადგილზე მოწმე ბ. ს-ის ყოფნა-არყოფნის დასადასტურებლად.

სააპელაციო სასამართლომ გაუმართლებლად დატოვა ჯეროვანი ყურადღების გარეშე მოწმე ვ. მ-ის ჩვენება, რომლის ობიექტურ შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენისათვის, მით უმეტეს, რომ ბრალდებულსა და დაცვის მხარეები აღნიშნულ ჩვენებას ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებას აძლევდნენ.

ამრიგად, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას და ლ. გ-ის მიმართ განაჩენის დადგენისას სასამართლომ არ შეასრულა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) მე-18 მუხლით, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და 496-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რაც განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულ ლ. გ-ის მიმართ ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გაირკვეს ზემოთ მითითებული ყველა გარემოება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ხელახლა დაიკითხონ: დაზარალებული ხ. ც-ე, მოწმეები: ვ. მ-ი, ნ. გ-ე, მ. დარჩია და ბ. ს-ი, რის საფუძველზეც უნდა გაირკვეს ლ. გ-ს ბრალეულობა თუ უდანაშაულობა ქურდობის ბრალდების ნაწილში, ხოლო თადლითობის ნაწილში მის ქმედებას უნდა მიეცეს კანონიერი შეფასება და მართებული კვალიფიკაცია, რასაც სამართლიანად ითხოვდა სახელმწიფო ბრალმდებელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დაადგინა:

მსჯავრდებულ ლ. გ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. წ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიმართ, ხოლო მისი ბრალდების საქმე გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ძარცვა

განჩინება

#1169-აპ-10

23 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

განიხილა მსჯავრდებულ გ. ც-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით გ. ც-ს, ბრალი ედებოდა ძარცვაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 11 მაისს გ. ც-ი იმყოფებოდა თბილისში, ... გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც მან განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მიუახლოვდა "- " მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა ი. ჯ-ა და რომელიც გამზირზე წელა მოძრაობდა მანქანათა საცობში. მან მოახერხა ფანჯრიდან ავტომანქანის სალონში ხელის შეყოფა და მძღოლს ი. ჯ-ს ჩამოგლიჯა ოქროს ყელსაბამი, რის შემდეგაც იგი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. აღნიშნული ქმედებით გ. ც-მ ი. ჯ-ს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 თებერვლის განაჩენით გ. ც-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თ. მ-მ და დაზარალებულმა ი. ჯ-მ.

აპელანტი -ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი თ. მ-ა სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გ. ც-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას, გ. ც-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და მისთვის სასჯელის სახედ და ზომად 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას. პროკურორი თ. მ-ა თავის მოთხოვნას ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით: პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გ. ც-ს მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლების მოთხოვნები საქმის ყოველმხრივი, ობიექტური, სრული გამოკვლევის, მტკიცებულებათა ობიექტურად შეფასების თაობაზე და მიიღო ნაჩქარევი, არასწორი გადაწყვეტილება. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ დაზარალებულმა და მოწმე ხ. ნ-მ ერთმნიშვნელოვნად მიუთითეს, რომ გაქცეული დამნაშავის ზურგიდან დანახვისას დააფიქსირეს მისი გრძელი თმა, ე.წ. "სველი ეფექტი". გარდა ამისა, წინასწარი გამოძიების სტადიაზეც მიცემულ ჩვენებებშიც მოწმე ნ. მ-ა და დაზარალებული ი. ჯ-ა

მიუთითებენ მძარცველის გრძელ თემებზე. ამასთან, მოწმე ნ. მ-ს განმარტებით, გ. ც-ი იმავე ქურთუკში დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა, რომელიც მას ეცვა დანაშაულის ჩადენის მომენტში. სასამართლომ არასწორად ცნო დაუშვებელ მტკიცებულებად ფოტოსურათით ამოცნობის ოქმი, ვინაიდან ნ. მ-მ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ორი ფოტოსურათის მკვეთრი მსგავსების გამო თავდაპირველად მართლაც გაუჭირდა ამოცნობა, მაგრამ შემდეგ უკვე დარწმუნებით დაადო ხელი გ. ც-ს ფოტოსურათს. მან სასამართლოში საქმის განხილვისას კიდევ ერთხელ მიუთითა გ. ც-ზე, როგორც მძარცველზე. ნ. მ-ს განმარტება სასამართლო სხდომის ოქმში არასწორად დაფიქსირდა, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სხდომის ოქმზე შენიშვნები იქნა გაკეთებული, რომლებიც სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა. გამამართლებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქმეში არსებულ, ძველი თბილისის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მეექვსე განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის პატაკზე, რომლის მიხედვითაც, გ. ც-ი სარგებლობს მობილური ტელეფონით, რომლის ნომერიც არის ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე გამოთხოვილ იქნა აღნიშნულ ნომერზე 2009 წლის 12 მაისის ჩათვლით განხორციელებული სატელეფონო ზარების ნუსხა მომსახურე ანძების მითითებით, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელმა შპს "ჯეოსელიდან" წარადგინა ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნული ნომრის მფლობელის დემოგრაფიული მონაცემები ვერ დადგინდა. სრულიად ადვილი შესაძლებელია, დანაშაულის ჩადენის მომენტში მობილური ტელეფონი მითითებული ნომრით სულ სხვა პიროვნებას, ან სულაც გ. ც-ს ოჯახის რომელიმე წევრს ჰქონდა სარგებლობაში. სახელმწიფო ბრალდება ასევე არ ეთანხმება განაჩენის იმ ნაწილს, რომლის მიხედვით, საქმეში სასამართლო განხილვის შემდეგ დარჩა მხოლოდ ერთი მტკიცებულება - ნ. მ-ს ჩვენება, რომელიც შესაძლებელია კეთილსინდისიერად ცდებოდეს. აპელანტის, პროკურორ თ. მ-ს განმარტებით, სასამართლოს ასეთი შეფასება მოკლებულია ლოგიკურობას და მის მიერ გამამართლებელი განაჩენის სახით მიღებულია დაუსაბუთებელი და ნაჩქარევი გადაწყვეტილება.

ამავე დროს, ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თ. მ-მ კერძო სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა ფოტოსურათებითა და პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 თებერვლის საოქმო დადგენილებაც და ითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ გ. ც-ი მოწმე ნ. მ-მ ამოიცნო ჯერ ფოტოსურათებით, ხოლო შემდეგ - ვიზუალურად. ორივე შემთხვევაში სრულად იყო დაცული საქართველოს სსსკ-ის 347-ე მუხლის მოთხოვნები.

აპელანტი - დაზარალებული ი. ჯ-ა სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გ. ც-ს მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით: პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გ. ც-ს მიმართ უკანონოა, ვინაიდან მისმა შვილმა ნ. მ-მ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ის ესწრებოდა, განმარტა, რომ მძარცველის სახის ნაკვთები, რომელმაც ყელსაბამი ჩამოგლიჯა მას (ი. ჯ-ს) ყელიდან, დაინახა დადევნების დროს, ხოლო განაჩენში კი დაფიქსირებულია, რომ მან იგი ნახა ავტომანქანასთან მიახლოებისას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამასთან, სიმართლეს არ შეეფერება ის ფაქტი, რომ თითქოს მისმა შვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ განსასჯელი ფოტოსურათებით ვერ ამოიცნო. რეალურად კი მან სასამართლოში განაცხადა, რომ ფოტოსურათებით ამოცნობის დროს, ორი პირის ფოტოსურათების მკვეთრი მსგავსების გამო, თავდაპირველად გაუჭირდა ამოცნობა, მაგრამ კარგად დაკვირვების შემდეგ მან ხელი დაადო გ. ც-ს ფოტოსურათს. იგივე პიროვნება მან ამოიცნო ვიზუალური ამოცნობის ჩატარების დროსაც. მართალია, მან და მოწმე ხ. ნ-მ სასამართლოში მიუთითეს მძარცველის გრძელ თემებზე სველი ეფექტით, რაზეც განაჩენში საერთოდ არ არის მსჯელობა. სასამართლომ, ასევე უსაფუძვლოდ, მტკიცებულებად არ ჩათვალა ის ფაქტი, რომ გ. ც-ი იმავე ქურთუკით იყო მიყვანილი პოლიციაში დაკავების დროს, რომელიც მას ეცვა დანაშაულის ჩადენის დროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განაჩენით ძველი თბილისის რაიონული პროკურორის მოადგილის - თ. მ-ს სააპელაციო და კერძო სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ასევე დაკმაყოფილდა დაზარალებულ ი. ჯ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაც.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 თებერვლის გამამართლებელი განაჩენი გ. ც-ს მიმართ, ხოლო მის ნაცვლად გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც გ. ც-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლითაც მას მსჯავრი დაედო ძარცვისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ც-მა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ზ. რ-მა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები თავიანთი საჩივრით ითხოვენ სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. ც-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია გამამტყუნებელი განაჩენით მის მიმართ შერაცხული ქმედება.

საკასაციო პალატის სხდომაზე განხილვისას მსჯავრდებულმა გ. ც-მა და მისმა დამცველებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ საკასაციო საჩივარს. ადვოკატმა ზ. რ-მა აღნიშნა: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ც-ს ფოტოსურათით ამოცნობის ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი საოქმო დადგენილების გაუქმებისა და აღნიშნული მტკიცებულების დაშვების თაობაზე უკანონო იყო, რადგან ამომცნობმა, მოწმე ნ. მ-მ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მან ვერ ამოიცნო გ. ც-ი, ამასთან, მის მიერ თავის ჩვენებაში აღწერილი მძარცველის ნიშნები არ შეესაბამება მსჯავრდებულის გარეგნობას. წინააღმდეგობრივია, ასევე, მოწმე ნ. მ-სა და დაზარალებულ ი. ჯ-ს ჩვენებები მომხდარი შემთხვევის დროს მოვლენების განვითარებისა და მძარცველის გარეგნობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ისინი მაინც მიიჩნია სარწმუნო მტკიცებულებად, რომლებსაც ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენი. იგივე შეიძლება ითქვას მოწმე ხ. ნ-ს ჩვენების შესახებ. სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო მსჯავრდებულის ალიბი იმის თაობაზე, რომ მომხდარი შემთხვევის დროს იგი სრულიად სხვა ადგილზე იმყოფებოდა, რასაც ადასტურებენ მოწმეები და რაც ასევე დასტურდება მობილური ტელეფონით მის მიერ განხორციელებული ზარებით, რის გამოც იგი აღნიშნულ დანაშაულს ვერ ჩაიდენდა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გ. ც-ს ბრალდების საქმე განიხილა მნიშვნელოვანი დარღვევებითა და არაობიექტურად, რამაც განაპირობა მსჯავრდებულის მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გამოტანა. საბოლოოდ ადვოკატმა ზ. რ-მ საკასაციო პალატის წინაშე იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ გ. ც-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

ადვოკატმა რ. შ-მა და მსჯავრდებულმა გ. ც-მა მხარი დაუჭირეს ადვოკატ ზ. რ-ს შუამდგომლობას და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ლ. ქ-მა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს იმ მოტივით, რომ დაცვის მხარის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან, მისი აზრით, გასაჩივრებული განაჩენი ემყარება კანონიერ მტკიცებულებებს, ხოლო საქმე სააპელაციო სასამართლომ განიხილა ობიექტურად და სრულად; ამასთან, დაცვის მხარემ ვერ გააბათილა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებითაც უტყუარად დასტურდება, რომ გ. ც-მა ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. პროკურორმა ლ. ქ-მა საკასაციო პალატის ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდების მოწმე ნ. მ-მ და დაზარალებულმა ი. ჯ-მ, რომლებმაც ექსტრემალურ ვითარებაში დაინახეს მძარცველი, შეძლებისდაგვარად აღწერეს მისი გარეგნობა და ჩაცმულობა, რაც ძირითადად ემთხვევა გ. ც-ს გარეგნობას. რაც შეეხება მოწმე ნ. მ-ს ჩვენებას, რომელიც მან პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას მისცა, იგი ემთხვევა მის მიერვე წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებას, რის გამოც აღნიშნული ჩვენება მართებულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ. პროკურორმა ლ. ქ-მა აღნიშნული გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატის წინაშე იშუამდგომლა, რომ კასატორებს უარი ეთქვას მათი საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ც-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ც-ს მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის აპელირებას იმის თაობაზე, რომ დაზარალებულ ი. ჯ-სა და მოწმე ნ. მ-ს ჩვენებებში აღწერილი მძარცველის გარეგნობის ნიშნები არ შეესაბამება მსჯავრდებულ გ. ც-ს გარეგნობას, რადგან ასეთი რამ არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით. პირიქით, როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებებში, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოში ი. ჯ-სა და ნ. მ-ს მიერ წარმოდგენილი მძარცველის გარეგნული აღწერილობა არსებით დეტალებში ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო იდენტური თანხვედრა ჩვენებებისა

შეუძლებელიცაა და არც შეიძლება ასეთი მოთხოვნის დაყენება, ვინაიდან აღნიშნულმა დაზარალებულმა და მოწმემ გ. ც-ი დროის ერთი და იგივე მონაკვეთში დაინახეს, მაგრამ განსხვავებულ ვითარებაში. აქედან გამომდინარე, გარკვეული სხვაობები მათ ჩვენებებში სავსებით ბუნებრივია და ამ უკანასკნელს ვერ მიენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სასამართლოში დაზარალებულმაც და მოწმემ ნ. მ-ც უყოყმანოდ განაცხადეს, რომ განსასჯელი იყო სწორედ ის პიროვნება, ვინც მათ პირველად იხილეს მომხდარი შემთხვევის დროს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ხსენებულ დაზარალებულსა და მოწმეს არავითარი პირადი დაინტერესება არ გააჩნიათ მსჯავრდებულ გ. ც-ს წინააღმდეგ და არ არიან მიკერძოებულნი. მართალია, მოწმე ნ. მ-ს მონაწილეობით ჩატარებული ფოტოსურათით, ასევე ვიზუალური ამოცნობის ოქმები საპროცესო დარღვევების გამო ვერ იქნება გამოყენებული მტკიცებულებად, მაგრამ ეს არ არის ისეთი შემთხვევა, როცა დაზარალებულსა და მოწმეს არ შეეძლოთ დაენახათ და დამახსოვრებინათ დამნაშავეს გარეგნობა ამიტომაც, რომ მათ ჩვენებებში აღწერილი მძარცველის გარეგნობა ძირითადად ემთხვევა გ. ც-ს გარეგნობას. იმ გარემოებას, რომ მომხდარი შემთხვევის დროს დაზარალებულ ი. ჯ-სა და მოწმე ნ. მ-ს შეეძლოთ ნამდვილად დაენახათ გ. ც-ი შემთხვევის ადგილზე და არა სხვა დროს ან სხვა ადგილზე, არაპირდაპირ ადასტურებს ასევე მოწმე ხ. ნ-ას მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენება. განხილული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს დაზარალებულისა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებების სისწორესა და ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, რომლებიც ერთობლიობაში სავსებით საკმარისია გ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მსჯავრდებისათვის.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ც-ს ბრალდების საქმის განხილვისას დაუშვა გარკვეული საპროცესო დარღვევა, რაც მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლო შეეცადა, რომ გარდა ზემოაღნიშნული ბრალდების მტკიცებულებებისა, სხვა მტკიცებულებაც განეხილა და შეეფასებინა, რომლის დაშვებაც ითხოვდა ბრალდების მხარე კერძო სააპელაციო საჩივრით. მხედველობაშია წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოწმე ნ. მ-ს მონაწილეობით ჩატარებული ფოტოსურათით ამოცნობის ოქმი, რომელიც, ვიზუალური ამოცნობის ოქმთან ერთად, პირველი ინსტანციის სასამართლომ საოქმო დადგენილებით დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო. სააპელაციო სასამართლომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი დადგენილებით უსაფუძვლოდ ცნო დაუშვებლად ფოტოსურათით ამოცნობის ოქმი, რის გამოც აღნიშნული დადგენილება უნდა გაუქმდეს და ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს თავისი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში არაფერი დაუდგენია პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოხსენებული დადგენილების გაუქმებისა და ფოტოსურათით ამოცნობის ოქმის მტკიცებულებად დაშვების შესახებ, არამედ შემოიფარგლა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადაც ისიც კი არ არის მითითებული, კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა რა ნაწილში დაკმაყოფილდა. აღნიშნული საკითხი არც სასამართლო განხილვის მიმდინარეობის დროს გადაწყვეტილია. ამის შედეგად შეიქმნა გაურკვეველობა აღნიშნული მტკიცებულების სტატუსთან დაკავშირებით.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმის თაობაზეც, რომ, ვიდრე მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი საოქმო დადგენილების საფუძვლიანობასა და დასაბუთებულობაზე იმსჯელებდა, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემოწმებინა -ბრალდების მხარეს საპროცესო კანონით დადგენილი წესის დაცვით ჰქონდა თუ არა გასაჩივრებული აღნიშნული სასამართლო დადგენილება ამოცნობის ოქმების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე. მხოლოდ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ შეეძლო მას ემსჯელა და მიეღო რაიმე გადაწყვეტილება ხსენებული მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 525-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქალაქო სასამართლოს დადგენილება, რომელიც გამოტანილია საქმის განხილვისას და არ არის შემაჯამებელი ხასიათისა, შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით განაჩენთან ერთად. მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასამართლო სხდომისას გამოტანილი საოქმო დადგენილება მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრებული იყო არა განაჩენის თაობაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრით, ანუ სააპელაციო წესით, არამედ ცალკე -კერძო სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, რაც არასწორი იყო. აღნიშნულის გამო სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უნდა ემსჯელა ხსენებული კერძო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის თაობაზე, არამედ უარი უნდა ეთქვა მის განხილვაზე, ვინაიდან იგი შეტანილი იყო საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც მხედველობიდან გამორჩა სააპელაციო სასამართლოს.

მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ც-ს ბრალდების საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას არ ყოფილა დაშვებული ისეთი არსებითი დარღვევები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულისა და მისი დამცველის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განაჩენი გ. ც-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ც-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ც-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მითვისება

განჩინება

#936-აპ-10

25 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის განაჩენით რ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქ/პუნქტით, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. მოცემულ სასჯელს დაემატა შუახვევის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს განაჩენით დანიშნული 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (შუახვევის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს განაჩენით რ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა 2008 წლის 3 მარტის 15:35 საათიდან 2008 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი), რომლის მოხდის რეჟიმი -პირობითი მსჯავრი 5 წლის გამოსაცდელი ვადით -დარჩა უცვლელად.

დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და რ. მ-ს გ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 12 000 ლარის ანაზღაურება.

რ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 24 თებერვლიდან.

განაჩენის მიხედვით, რ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა მის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: გ. ხ-სთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, რ. მ-მ მოსავლელად ჩაიბარა ხ-ის კუთვნილი შვიდი ძროხა, სამი დეკეული, ხუთი ღორი, ერთი ხარი და ერთი მოზვერი. შეთანხმების მიხედვით, მხარეებს თანაბრად უნდა გაეყოთ საქონლის ნამატი და რძის რეალიზაციით მიღებული მოგება.

2007 წლის მარტში რ. მ-მ მითვისა გ. ხ-ის შვიდი ძროხა, სამი დეკეული, ხუთი ღორი, ერთი ხარი და ერთი მოზვერი, ასევე საქონლის ნამატის ნახევარი, რაც დაზარალებულს ეკუთვნოდა -სამი ხბო, თხუთმეტი გოჭი და 3200 ლარის ღირებულების რძე, რითაც ხ-ს 12 000 ლარის დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-მ, რომელიც საჩივრით ითხოვდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვდა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის განაჩენის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლას, ან განაჩენის გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაგზავნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია მსჯავრდებულ რ. მ-ის მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტი, რაც გარდა, თვით რ. მ-ის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებისა, დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოვლენული სხვა უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით - დაზარალებულ გ. ხ-ის, მოწმეების: მ. ე-ის, გ. ს-ის ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

თუმცა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რ. მ-ის ბრალდების საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია დანაშაულის საგნის ღირებულების საკითხი, არ დაადგინა მიყენებული მატერიალური ზიანის რეალური ოდენობა, რაც ძირითადი ფაქტობრივი გარემოებაა როგორც კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისათვის, ისე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისათვის.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განაჩენი რ. მ-ის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმე განხილულ უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით, რა დროსაც შესაბამისი საპროცესო მოქმედებების მეშვეობით უნდა გაირკვეს დანაშაულის საგნის რეალური ღირებულება დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დროისათვის და ამ ღირებულებიდან გამომდინარე, განისაზღვროს მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაცია. შესაბამისად, უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სარჩელის ბედიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განაჩენი რ. მ-ის მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#957-აპ-10

29 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. დ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის განაჩენით ი. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ბრალდების ორი -2009 წლის 8 ოქტომბრისა და 6 ნოემბრის ეპიზოდები) იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით; ასევე -ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 21 სექტემბერს ი. დ-ს დაუკავშირდნენ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით პასუხისგებაში მიცემული და დაპატიმრებული დ. ვ-ის მამა -დ. ვ-ე და სიმამრი -ა. კ-ე და სთხოვეს, დახმარებოდა შეღავათიან პირობებში საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში. ი. დ-მა ხელსაყრელ გარემოებად ჩათვალა შეთავაზება და თაღლითურად, დიდი ოდენობით თანხის მიღების მიზნით, ცრუდ დაჰპირდა მათ, რომ თავისი ძმის -- პროკურორის ყოფილი მოადგილის -ი. დ-ის დახმარებით მოაგვარებდა ამ საქმეს. ი. დ-მა განზრახვა გაანდო ძმას -ი. დ-ს და ისინი შეთანხმდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩადენაზე.

ი. დ-მა დაარწმუნა დაზარალებული დ. ვ-ე, რომ ი. დ-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან და თავის ძმასთან -ი. დ-თან შეთანხმების თანახმად, მოსთხოვა 20000 აშშ დოლარისა და 20000 ლარის გადახდა, რის სანაცვლოდაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ დ. ვ-ეს. დაზარალებულმა დ. ვ-ემ ირწმუნა, რომ ი. დ-ი ი. დ-ის დახმარებით შეძლებდა დანაპირების შესრულებას და ი. დ-ს გადასცა მის მიერ მოთხოვნილი თანხა. ი. და ი. დ-ები გარკვეული ხნის განმავლობაში ცრუ დაპირებით აიმედებდნენ დაზარალებულ დ. ვ-ეს.

ი. დ-მა აჭარის ა\რ-ის პროკურორის სახელზე 2009 წლის 8 ოქტომბრის თარიღით შეადგინა ყალბი განცხადება დ. ვ-ის სახელით და მის მაგივრად მოაწერა ხელი, რომ თითქოს განსასჯელი თანახმა იყო, აჭარის ა\რ-ის პროკურატურასთან გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება და მიუთითა შეთანხმების პირობებზე. 2009 წლის 6 ნოემბერს მან კვლავ შეადგინა ყალბი განცხადება დ. ვ-ის სახელით, მიუთითა საპროცესო შეთანხმების პირობები და შეიტანა აჭარის ა\რ-ის პროკურატურაში.

ამავე განაჩენით ი. დ-ი დაუსწრებლად იქნა ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია, 2005-2006 წლების ეპიზოდები), 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

ი. დ-ს საბოლოოდ მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -3500 ლარი, ხოლო ი. დ-ს -15 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -7000 ლარი; მათვე დაზარალებულ დ. ვ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 53400 ლარის გადახდა, ხოლო ი. დ-ს დაზარალებულ ნ. ყ-ის სასარგებლოდ -133875 ლარის გადახდა. ი. დ-ს 3 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო დაწესებულებასა და თვითმმართველობაში საქმიანობის უფლება; მის საკუთრებაში არსებული დაყადაღებული უძრავი ქონება, მდებარე თბილისში, ... ქ. #-ში, მიექცა აღსასრულებლად დაზარალებულების სამოქალაქო სარჩელების დაკმაყოფილების მიზნით. 2010 წლის 28 იანვრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი თანხა -4881 ლარი და 50 თეთრი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

მსჯავრდებულ ი. დ-ს სასჯელის ათვლა დაეწყო 2009 წლის 5 დეკემბრიდან, ხოლო ი. დ-ს სასჯელის მოხდაში ჩათვალა დაკავებასა და წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო -2004 წლის 16 დეკემბრიდან 2004 წლის 26 დეკემბრამდე.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ი. დ-ის ადვოკატმა თ. ი-ემ. მან ითხოვა ი. დ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა, ხოლო დანარჩენ ნაწილში -განაჩენის გაუქმება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 სექტემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული ი. დ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, ვინაიდან საქმე განხილულია საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კოდექსის დარღვევით; არ მომხდარა საქმის ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა, დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი; ასევე დაირღვა სსსკ-ის 538-ე მუხლის მოთხოვნები და სასამართლომ არ გაითვალისწინა უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაზარალებულმა სასამართლოში მის სასარგებლოდ მისცა; სასამართლომ არ შეამოწმა მსჯავრდებულისა და მისი დამცველის მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებები; არ დაკითხა საქმისათვის მნიშვნელოვანი მოწმეები; არ აღმოაჩინა მტკიცებულებები, რომელთა გარეშეც განაჩენი დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება; არ აღმოფხვრა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა; წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება; სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან; განაჩენი ემყარება მხოლოდ საქმის ბედიტ დაინტერესებული დ. ვ-ის ჩვენებებს. სასამართლო არც კი დაინტერესებულა საქმეზე დართული აუდიო და ვიდეოჩანაწერებით.

კასატორის განმარტებით, იგი იყო მხოლოდ შუამავალი თავის ძმასა და დაზარალებულ დ. ვ-ეს შორის, რათა კანონის ფარგლებში დაზარალებულის შვილისათვის -დაპატიმრებული დ. ვ-ისათვის გაეფორმებინათ საპროცესო შეთანხმება; ფულის გადაცემის შემდეგ რა ხდებოდა, მან არ იცის. დ. ვ-ე დაინტერესებულია თავისი შვილის განთავისუფლებით, ამიტომ მისი ჩვენება აგებულია სიცრუესა და სიყალბეზე და მათ მტკიცებულების ძალა ვერ მიენიჭება.

მსჯავრდებული ი. დ-ი ასევე მიიჩნევს, რომ თავისი კუთვნილი 4881 ლარი და 50 თეთრი ბიუჯეტში არ უნდა გადარიცხულიყო, რადგან მას ბიუჯეტისათვის არანაირი ზარალი არ მიუყენებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს, დაუშვებელ მტკიცებულებებად იქნეს ცნობილი დ. ვ-ის ჩვენებები, ი. დ-ის დაკავების ოქმი; მოწმის სახით დაიკითხოს გ. კ-ე, სასამართლომ გამოიკვლიოს აუდიო და ვიდეოჩანაწერები; მის ოჯახს დაუბრუნდეს კუთვნილი თანხა -4881 ლარი, 50 თეთრი და სხვა ნივთები; გაუქმდეს გასაჩივრებული განაჩენი და მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულსა და მის დამცველს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლოსათვის შუამდგომლობით არ მიუმართავთ, საქმის განხილვისას არ შეზღუდულა პროცესის მონაწილეთა უფლებები და ასეთ პირობებში უსაფუძვლოა კასატორის მითითება შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის შესახებ. გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს და არა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას, როგორც ამას მსჯავრდებული აღნიშნავს, თუმცა ამ უკანასკნელის სასამართლოში მიცემული ჩვენებაც საგულისხმოა. კერძოდ, ი. დ-ი არ უარყოფს, რომ დ. ვ-ისაგან მიიღო 20000 აშშ დოლარი და 20000 ლარი მსჯავრდებულსა და პროკურორს შორის "საპროცესო შეთანხმებისა და სხვა ხარჯებისათვის", მაგრამ ვერ ხსნის, რამ გამოიწვია მის მიერ შედგენილ ყალბ განცხადებებში ჯერ 10, შემდეგ კი 25 ათასი ლარის შეთავაზება პროკურატურისათვის საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად, როდესაც დაზარალებულისაგან უკვე მიღებული ჰქონდა ორჯერ მეტი თანხა.

პალატა აღნიშნავს, რომ მოპოვებული მტკიცებულებები, მათ შორის -დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებები უტყუარად ადასტურებს ი. დ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია.

ამასთან, არასწორად გადაწყდა ი. დ-ისაგან ამოღებული 4881 ლარისა და 50 თეთრის საკითხი, რაც სსსკ-ის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა დაუბრუნდეს დ. ვ-ეს, შესაბამისად, უნდა შემცირდეს თანხის ოდენობა, რაც დაზარალებულის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა მსჯავრდებულს.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსკ-ის 180-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება თაღლითობის ბრალდების ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირდეს აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ი. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 სექტემბრის განაჩენიდან ი. დ-ის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი;

ი. დ-ის ქმედებები დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ბრალდების ორი ეპიზოდი);

ნივთმტკიცება -4881 ლარი და 50 თეთრი დაუბრუნდეს დაზარალებულ დ. ვ-ეს;

დაზარალებულ დ. ვ-ის სასარგებლოდ მსჯავრდებულებს -ი. დ-სა და ი. დ-ს საბოლოოდ დაეკისროთ 48 518 ლარის და 50 თეთრის გადახდა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, ი. დ-ისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა

განჩინება

#1076-აპ-10

21 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ჭ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ი. ჭ-ს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა, ასევე -ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 2 აგვისტოს ი. ჭ-ი ბ. ც-თან, ა., ვ. და ა. ს-თან, ასევე -დაუდგენელ რამდენიმე პირთან ერთად იმყოფებოდა რუსთავში, - ქუჩაზე მდებარე საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 25-ე კორპუსთან, სადაც ა. ს-ისათვის ველოსიპედის წართმევასთან დაკავშირებით მოხდა კონფლიქტი, რა დროსაც ი. ჭ-მა ჯიბიდან ამოიღო დანა, რომელიც იქვე გახსნა და მუცლის ღრუს, თავისა და გულმკერდის არეში რამდენჯერმე დაარტყა ა. ს-ს და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება, თავად კი შემთხვევის ადგილიდან

მიიმალა. ა. ს-ი სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც სამედიცინო პერსონალის დროული ჩარევის შედეგად გადარჩა.

2008 წლის 4 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის გადასამოწმებლად რუსთავში, ... ქ. #-სა და #-ში მცხოვრები ი. ჭ-ის ბინაში 23.25-23.50 დროის შუალედში, გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩაატარეს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რა დროსაც აღმოაჩინეს და ამოიღეს სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება და ასაფეთქებელი მოწყობილობა.

2010 წლის 26 იანვარს შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ... მასივის მე-2 კვარტლის #-ში მდებარე ბრალდებულ ი. ჭ-ის დროებით საცხოვრებელ ბინაში გადაუდებელი აუცილებლობით ჩაატარეს ჩხრეკა, რა დროსაც ასევე აღმოაჩინეს და ამოიღეს სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება და ასაფეთქებელი მოწყობილობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის განაჩენით ი. ჭ-ი გამართლდა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შემენა-შენახვის ბრალდებაში (2008 წლის 4 აგვისტოს ეპიზოდი); მას საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2008 წლის 4 აგვისტოსა და 2010 წლის 26 იანვრის ეპიზოდები) -1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1000-1000 ლარი. საბოლოოდ სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ი. ჭ-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით და ჯარიმა -2000 ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 26 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. ჭ-მა. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამართლდება მსჯავრდების ყველა ეპიზოდში, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 16 სექტემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული ი. ჭ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის თანახმად, გამომძიებელმა, პროკურორმა და სასამართლომ უტყუარად უნდა დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად; მსჯავრდებულ ი. ჭ-ის დუმილის უფლება არ უნდა იყოს გამოყენებული მის საზიანოდ. 2008 წლის აგვისტოს ფაქტზე სასამართლო გამოძიების დროს მოწმეებად დაიკითხნენ ჩხრეკის მონაწილე პირები: მ. ხ-ე, გ. ი-ა და კ-ა; მათ მიერ მიცემული ჩვენებები ერთმანეთის საწინააღმდეგოა; თავად მსჯავრდებულის ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს, ხელი მოეწერათ ჩხრეკის ოქმზე, რადგან პოლიციელებს არ ენდობოდნენ; ეს ყველაფერი კი მიუთითებს ი. ჭ-ის უდანაშაულობაზე.

რაც შეეხება 2010 წლის 26 იანვრის ჩხრეკას, ჩხრეკის ოქმში ი. ჭ-მა განმარტა, რომ არც ერთი იარაღი მას არ ეკუთვნის და ისინი პოლიციის თანამშრომლებმა ჩადეს; იარაღი მართლაც რომ აღმოეჩინათ, თბილისში, დიდმის მასივის მე-2 კვარტლის - კორპუსის -ე ბინა არ ეკუთვნის ი. ჭ-ს, თუმცა გამოძიება ამით არ დაინტერესებულა.

გარდა აღნიშნულისა, კასატორი ასევე მიუთითებს, რომ დაზარალებულ ა. ს-ს საერთოდ არ იცნობს და მასთან არანაირი შეხება არ ჰქონია; თავად დაზარალებულმა, ასევე -მოწმე ა. ს-მა სასამართლოში კატეგორიულად განაცხადეს, რომ ი. ჭ-ს ა. ს-ის მოკვლის განზრახვა რომ ჰქონოდა, ამას აუცილებლად შეძლებდა, რადგან არანაირი დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობდა, თუმცა მან მძებ ს-ებს თავი დაანება, აღნიშნული კი გამოიციხავს მსჯავრდებულის მხრიდან მკვლელობის მცდელობის ჩადენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი -მსჯავრდებული ი. ჭ-ი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას მსჯავრდების ყველა ეპიზოდში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, თითქოს ერთმანეთის საწინააღმდეგოა ჩხრეკის მონაწილე პირთა ჩვენებები. საგამომძიებო მოქმედებების მონაწილეებს რაიმე შენიშვნა არ გამოუთქვამთ. ამასთან, საქმის მასალებიდან არ გამოდინარეობს და ვერც მსჯავრდებული მიუთითებს, საპროცესო კანონის რა მოთხოვნები დაირღვა.

პალატა აღნიშნავს, რომ მოპოვებული მტკიცებულებები, მათ შორის – დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებები, საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები უტყუარად ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ბრალდების ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას.

ამასთან, საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით დასჯადია მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის შექმნა-შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

ექსპერტიზის დასკვნებით, ი. ჭ-ისაგან ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობები სავარაუდოდ ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამატყუებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. ამდენად, ასაფეთქებელი მოწყობილობების შექმნა-შენახვის ბრალდების ეპიზოდებში ი. ჭ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია. პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის პიროვნების, ჩადენილი ქმედებების სიმძიმის, მათ შორის, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის რაოდენობის გათვალისწინებით, ი. ჭ-ისათვის დანიშნული სასჯელი არ არის მკაცრი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ჭ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 16 სექტემბრის განაჩენი გაუქმდეს ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისათვის ი. ჭ-ის მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდებში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#868-აპ-10

1 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ი. ტყემელაშვილი,**
- გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ვ. ჩ-სა და ვ. ტ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის განაჩენით, ვ. ტ. და ვ. ჩ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ და თითოეულ მათგანს მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ჯარიმა -1000 ლარი; იმავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე -თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, აგრეთვე, ჯარიმა -2500 ლარი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მათ სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა, თითოეულს -9 წლისა და 6 თვის ვადით, აგრეთვე, ჯარიმა -3500 ლარი. იმავე განა-

ჩენით ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს სოლიდარულად დაეკისრათ დაზარალებულ შ. მ-ს სასარგებლოდ 130 ლარის გადახდა.

განაჩენით ვ. ჩ-სა და ვ. ტ-ს ბრალი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს მარცვა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ასევე სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ხულიგნობა, ე.ი. საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამომხატველი ქმედება ძალადობით, პირთა ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 14-15 ივნისის ღამეს, დაახლოებით 02.00 საათზე, შ. მ-ი, რომელიც მართავდა ს. უ-ს კუთვნილ ავტომანქანას, გ. კ-სთან, გ. შ-სა და ლ. გ-სთან ერთად, მივიდა ამ უკანასკნელის ბინასთან -ქ. ქუთაისში. ლ. გ-ს სადარბაზოსთან დატოვების შემდეგ შ. მ-მა ვერ შეძლო ავტომობილის მობრუნება, რადგან ვ. ტ, ვ. ჩ. და ძიებით დაუდგენელი პირი აღმოჩნდნენ ავტომანქანის მობრუნების არეალში. მან გააჩერა ავტომანქანა, შემდეგ კი ხმოვანი სიგნალითა და შუქ-ფარების ახლო და შორი განათების მონაცვლეობითი ანთებით მოითხოვა გზის განთავისუფლება. ვ. ჩ. და გამოძიებით დაუდგენელი პირი გადავიდნენ გზიდან, ხოლო უმიზეზოდ განაწყენებული ვ. ტ. კი მხოლოდ მას შემდეგ გაერიდა ავტომანქანას, როცა დაზარალებულს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. უსაფუძვლოდ შეურაცხყოფილი შ. მ. სიტუაციის გასარკვევად გადმოვიდა ავტომანქანიდან, რა დროსაც მას ჯერ ვ. ტ-მ. გაარტყა სახეში ხელი, ხოლო შემდეგ სცემეს და აგინეს ვ. ჩ-მ და დაუდგენელმა პირმა. აღნიშნულის შედეგად შ. მ-მ სახესა და სხეულზე მიიღო მრავლობითი დაზიანება სისხლნაჟღერებისა და ნაჭდევების სახით, ხოლო 130 ლარად ღირებული პერანგი გამოყენებისათვის უვარგისი გახდა. შ. მ-ს ცემისას თავდამსხმელებმა შენიშნეს, რომ მას ეკეთა ოქროს ყელსაბამი და ერთმანეთს მოუწოდეს მისი გატაცება, რის შემდეგ ვ. ტ-მ შ. მ-ს ჩამოწყვიტა 1000 ლარად ღირებული, 15,1 გრამი ოქროს ჯაჭვი. გარდა ამისა, დააზიანეს ს. უ-ს კუთვნილი ავტომანქანა, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 158 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ბოროტმოქმედების დანაშაულებრივი ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 15-20 წუთს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -ვ. ტ-მ და ვ. ჩ-მ, აგრეთვე, მათმა დამცველმა ადვოკატებმა -ე. რ-მ და ნ. ქ-მ. აპელანტები თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, როგორც დაუსაბუთებლისა და უკანონოსი. აპელანტთა განმარტებით, განაჩენი ემყარება ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს; არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; სასამართლოში საქმის განხილვისას არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობები მტკიცებულებებს შორის; სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და გამოიყენა დაუშვებელი მტკიცებულებები, ხოლო ეჭვი არ განმარტა განსასჯელთა სასარგებლოდ.

აპელანტები თავიანთ საჩივარში მიუთითებდნენ, რომ სასამართლომ ვერ დაასაბუთა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის მაკვალიფიცირებელი ნიშნის -„პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმების“ არსებობა, რის გამოც მსჯავრდებულების ქმედება შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირებულიყო და არა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. გარდა ამისა, როგორც აპელანტები აღნიშნავდნენ, მსჯავრდებულებსა და დაზარალებულ შ. მ-ს შორის კონფლიქტი დაიწყო მთავარი შ. მ-ის მიზეზით; ოქროს ჯაჭვი კი, რომელიც ჩხუბის დროს დაიკარგა, სეირნობისას იპოვა ვ. ბ-მ და მეორე დღეს ჩააბარა პოლიციას. რაც შეეხება სსკ-ის 187-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებას, აპელანტებისათვის გაუგებარია, თუ რას დაეყრდნო სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა, რის გამოც ისინი ითხოვდნენ სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საოქმო დადგენილების გაუქმებას.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას აპელანტებმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს მსჯავრდებულების -ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებისა და იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარდგენილ ბრალდებებში, აგრეთვე, მათი ქმედების საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან იმავე კოდექსის 239-ე მუხლის I ნაწილზე გადაკვალიფიცირება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის განაჩენი მსჯავრდებულების -ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა - ვ. ტ-მ და ვ. ჩ-მ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორები - ვ. ტ. და ვ. ჩ. საკასაციო საჩივრებით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საოქმო დადგენილებებისა და 2010 წლის 22 ივლისის განაჩენის გაუქმებას, მათ გამართლებას სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილისა და იმავე კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებებში და მათ მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივრებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ვ. ტ-ს, ვ. ჩ-ს მიმართ და შეამოწმა მათი საკასაციო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების - ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს ბრალეულობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარდგენილი ბრალდების ნაწილში დადასტურებულია საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია შესაბამისი საპროცესო ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით. ამ ნაწილში როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც სრული მოცულობით ჩაატარა სასამართლო გამოძიება, ასევე სააპელაციო სასამართლოს დასკვნები გამომდინარეობს რეალურად არსებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და მათ მიეძღვნა აქვს ადეკვატური სამართლებრივი შეფასება სწორი კვალიფიკაციის თვალსაზრისით. ამასთან, აღნიშნული მსჯავრის საფუძველზე ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მიმართ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელები შეესაბამება მათ მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მათ პიროვნებას, რის გამოც ისინი ვერ ჩაითვლება ზედმეტად მკაცრ და უსამართლო ზომებად. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დაცვის მხარის მოთხოვნა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 187-ე მუხლის I ნაწილით მსჯავრდების ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

ამავე დროს, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს დაცვის მხარის იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულებს - ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს არა აქვთ ჩადენილი საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული - ხულიგნობა, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კონფლიქტი დაზარალებულ შ. მ-სა და მსჯავრდებულ ვ. ტ-ს შორის დაიწყო სპონტანურად, მისი წარმოშობისა და განვითარების წინსწრები სტადიის გარეშე და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაებნენ ვ. ჩ. და კიდევ ერთი პირი დაწყებულ ჩხბუში დაზარალებულის წინააღმდეგ. სხვაგვარად რომ ითქვას, ეს უკანასკნელები ვ. ტ-ს მიერ დაწყებულ დანაშაულს შემდეგ შეუერთდნენ და დაასრულეს მასთან ერთად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, მოცემულ შემთხვევაში, იმ მომენტში, როდესაც ვ. ტ., ვ. ჩ. და მათთან ერთად კიდევ ერთი პირი ერთობლივად ახორციელებდნენ ხულიგნურ ქმედებას, ისინი მოქმედებდნენ ერთმანეთთან შეთანხმებულად, მაგრამ ეს თანხმობა მათ შორის არ არსებობდა მაშინ, როდესაც აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დაიწყო ვ. ტ-მ ინდივიდუალურად, ხოლო დანარჩენები შემდეგ შეუერთდნენ მის მიერ დაწყებულ დანაშაულს. ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაული მაშინ ჩაითვლება ჩადენილად, როდესაც ასეთი შეთანხმება დანაშაულში მონაწილე პირებს შორის მიღწეულია და არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე, ამასთან, ცხადია, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ხნით ადრე შედგა ასეთი შეთანხმება დამნაშავეთა შორის და რა ფორმით ან საშუალებით იქნა გამოხატული ეს შეთანხმება. უშუალოდ დანაშაულის დაწყების შემდეგ, მხედველობაშია თუნდაც ერთ-ერთი ამსრულებლის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება, მისი ჩადენის პროცესში დამნაშავეთა შორის შეთანხმება ერთობლივი მოქმედების თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ შეთანხმებად, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ ვერ იარსებებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როგორცაა წინასწარ შეთანხმებულად ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მესამე პირთან ერთად ჩადენილი აქვთ მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - ხულიგნობა, ესე იგი ქმედე-

ბა, რომელიც უხეზად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონი ამ დანაშაულის მკვალიფიცირებელ ნიშნად არ მიიჩნევს მის ჩადენას ჯგუფურად, წინასწარი შეთანხმების გარეშე.

მამასადამე, სააპელაციო სასამართლომ ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს ბრალდების საქმეზე განაჩენის დადგენისას დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა -სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველს.

ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის I ნაწილზე, ხოლო ამ დანაშაულისათვის მათ სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთა - თითოეულს 1 წლის ვადით. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულების -ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მათ მიერ ჩადენილი ხულიგნური ქმედებისათვის დამატებითი სასჯელის სახით თითოეულისათვის -2500 ლარის დაკისრების თაობაზე. საბოლოოდ მსჯავრდებულთა მიმართ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი -თითოეულისათვის 1 წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, უნდა შეიკრიბოს მათ მიმართ იმავე განაჩენით დანიშნულ სხვა სასჯელებთან ერთად.

გარდა ამისა, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო მოსარჩელე შ. მ. მოითხოვდა, დამნაშავე პირებს აენაზღაურებინათ მისთვის მიყენებული ზიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ საქმეზე სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ იქნა მხოლოდ ვ. ტ., ფაქტობრივად არ დაწყებულა სრული სამოქალაქო სამართალწარმოება ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მიმართ, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ორივე მსჯავრდებულს სოლიდარულად დააკისრა დაზარალებულ შ. მ-სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 130 ლარის ოდენობით. აღნიშნული ხარვეზი არ აღმოფხვრილა არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით არ იყო განსაზღვრული თითოეული მსჯავრდებულის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა. სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილი იყო მხოლოდ ვ. ტ. და, შესაბამისად, ფაქტობრივად არ დაწყებულა სრული სამოქალაქო სამართალწარმოება ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მიმართ, რასაც ითხოვდა სამოქალაქო მოსარჩელე. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაეუქმებინა სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, რაც არ უკარგავდა უფლებას შ. მ-ს, წარედგინა სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ვ. ჩ-სა და ვ. ტ-სათვის შ. მ-ს სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში, რაც ამ უკანასკნელს საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, არ უკარგავს უფლებას, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების -ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულების -ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამ დანაშაულისათვის მათ სასჯელად განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთა -თითოეულს 1 წლის ვადით, რომლებიც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შეიკრიბოს იმავე განაჩენით მათ მიმართ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელებთან ერთად და მათ საბოლოო სასჯელებად განესაზღვროთ: მსჯავრდებულ ვ. ტ. -თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა

და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა -1000 ლარის ოდენობით; მსჯავრდებულ ვ. ჩ-ს -თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა -1000 ლარის ოდენობით. აღნიშნული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულების -ვ. ტ-სა და ვ. ჩ-ს მიმართ დამატებითი სასჯელის სახით 2500 ლარის დაკისრების თაობაზე.

ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივლისის განაჩენი გაუქმდეს მსჯავრდებულების -ვ. ტ-სა და ვ. ჩ-სათვის სამოქალაქო მოსარჩელე შ. მ-ს სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#847-აპ-10

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ქ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მაისის განაჩენით ბ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ბ. კ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 7 იანვრიდან.

განაჩენით ბ. კ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა და შენახვა. მანვე ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

ბ. კ-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ექვს ცალ გამჭვირვალე პარკში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება "ოპიუმ-მი" და გამჭვირვალე ფოლგის ქაღალდში გახვეული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

2010 წლის 7 იანვარს თბილისში, დიდუბის ავტოსადგურის დარბაზში მდებარე შპს „კახეთი ტურის“ ოფისის კართან, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-6 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ბ. კ-ი, რომელსაც პირადი ჩხრეკის შედეგად მის ხელთ არსებულ ამა-ნათში მოთავსებულ შავი ფერის ტყავის ქურთუკის მარცხენა, შიდა ჯიბეში აღმოაჩნდა ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული, 6 გამჭვირვალე პარკი, თითოეულ მათგანში კი მუქი ფერის მცირე ზომის ნატეხები და ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული ფხვნილისებური ნივთიერება. ქიმიური ექსპერტიზის 2010 წლის 8 იანვრის #21/სქ დასკვნით დადგინდა, რომ მუქი ყავისფერი ნივთიერების 6 ცალი წონაკი, საერთო წონით 5,0556 გრამი, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ოპიუმს“ (ამფიონს), ხოლო ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული ფხვნილისებური ნივთიერება -გრანულების სახით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, წონით 0,0232 გრამს, დანარჩენი არანარკოტიკული მინარევია.

2010 წლის 7 იანვარს ჩატარებული ბ. კ-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, მის საძინებელ ოთახში არსებული მუყაოს ყუთიდან სხვა ნივთებთან ერთად ამოღებულ იქნა პარაბელუმ-ლუგერის 7,62 მმ კალიბრის 20 ცალი საბრძოლო ვაზნა, რაც ბალისტიკური ექსპერტიზის 2010 წლის 7 იანვრის #19/ბ დასკვნის შესაბამისად, წარმოადგენს 1943 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრის ვაზნებს, განკუთვნილს 7,62 მმ კალიბრის ავტომატებისათვის, კარაბინისა და ხელის

ტყვიამფრქვევისათვის, მიეკუთვნებიან საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

ამავე განაჩენით, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ გ. გ-ს შორის, რომლის თანახმადაც გ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა, თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენი 5 წელი ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა -15000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გ. გ-ს 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალებების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლებები, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები. სასაჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავების დღიდან -2010 წლის 7 იანვრიდან.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. კ-მა, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ბ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ქ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი სასჯელის ნაწილში არასამართლიანია და არ შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივლისის განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად გადაგზავნას. ამასთან, ალტერნატივის სახით ითხოვს განაჩენის შეცვლას სასჯელის ნაწილში, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით -8 წლით თავისუფლების აღკვეთას, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით -ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და არ იწვევდა ეჭვს. მსჯავრდებულ ბ. კ-ის მიერ საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით, ბალისტიკური ექსპერტიზის 2010 წლის 7 იანვრის #19/ზ დასკვნით; ბ. კ-ის 2010 წლის 7 იანვრის საცხოვრებელი ბინის ჩხრევის ოქმით; მოწმე ი. ფ-ის ჩვენებით, ნივთიერი მტკიცებულებებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

რაც შეეხება ბ. კ-ის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვის ფაქტს, საქმეში არსებული მტკიცებულებების -ბ. კ-ის აღიარებითი ჩვენების, პირადი ჩხრევის ოქმის, მოწმეების -დ. ბ-ისა და ი. ფ-ის ჩვენებების, ქიმიური ექსპერტიზის 2010 წლის 8 იანვრის #21/სქ დასკვნის, ნივთიერი მტკიცებულებების და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ანალიზით დგინდება, რომ ბ. კ-ის პირადი ჩხრევის შედეგად მის ხელთ არსებულ ამანათში მოთავსებული შავი ფერის ტყავის ქურთუკის მარცხენა, შიდა ჯიბეში აღმოჩნდა ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული, 6 ცალი გამჭვირვალე პარკი, თითოეულ მათგანში კი -მუქი ფერის მცირე ზომის ნატეხები და ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში გახვეული ფხვნილისებური ნივთიერება. 2010 წლის 8 იანვრის #21/სქ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ მუქი ყავისფერი ნივთიერების შემცველი 6 ცალი წონაკი, საერთო წონით 5,0556 გრამი, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ოპიუმს“ (ამფიონს), ხოლო ვერცხლისფერ ფოლგის ქა-

დალდში გახვეული ფხვნილისებური ნივთიერება –გრანულების სახით, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", წონით 0,0232 გრამს. "უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის" დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 23 ივლისის დადგენილების თანახმად, ნარკოტიკული საშუალება "ოპიუმი" (ამფიონი) 2 გრამიდან 20 გრამამდე წარმოადგენს დიდ ოდენობას, 20 გრამი და მეტი კი განსაკუთრებით დიდი ოდენობას, ხოლო რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინს", ის 1 გრამის ჩათვლით წარმოადგენს დიდ ოდენობას, 1 გრამზე მეტი კი –განსაკუთრებით დიდ ოდენობას. როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, ბ. კ-ისაგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები "ოპიუმი" (ამფიონი), წონით 5,0556 გრამი და "ჰეროინი", წონით 0,0232 გრამი, მათი რაოდენობიდან გამომდინარე და პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, წარმოადგენს არა განსაკუთრებით დიდ, არამედ დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს.

შესაბამისად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებს, მიაჩნია, რომ არასწორადაა გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ბ. კ-ის სასიკეთოდ, კერძოდ: მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე. ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, რომ იგი აღიარებს და იხანებს ჩადენილ დანაშაულს, არ არის ნასამართლევი, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია და მიაჩნია, რომ ბ. კ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ქ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ ბ. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, რისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ბ. კ-ს, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

განჩინება

#1155-აპ-10

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- ი. ტყემელაშვილი,
- გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 ივლისის განაჩენით მ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. ტ-ეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით –საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში –საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მ. ტ-ე სასჯელს იხდის 2010 წლის 16 მარტიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება მთავარი პროკურატურის პროკურორ მ. მ-სა და განსასჯელ გ. ბ-ს შორის.

გ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი –2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების თანახმად, გ. ბ-ს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა –10000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ბ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში –საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

გ. ბ-ს სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო –2010 წლის 16 მარტიდან 2010 წლის 20 მარტის ჩათვლით.

გაუქმდა გ. ბ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება –გირაო და გირაოს თანხა დაუბრუნდა მის შემტანს.

განაჩენით მ. ტ-ეს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გასაღებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. ტ-ემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით –0,0559 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 6 აბი და 2 აბის ნატეხი, საიდანაც ნაწილი, დიდი ოდენობით –0,0399 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 4 აბი და 2 აბის ნატეხი უკანონოდ შეინახა პირადად, ხოლო ნაწილი, დიდი ოდენობით –0,016 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 2 აბი 2010 წლის 12 მარტს თბილისში, ფ-ის ქ. 14-ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, 600 ლარად უკანონოდ გაასაღა თავის ნაცნობ გ. ბ-ზე. მითითებული ნარკოტიკი ამოიღეს ამ უკანასკნელის პირადი ჩხრევისას, ხოლო გ. ბ-ი დააკავეს ეჭვმიტანილის სახით. 2010 წლის 16 მარტს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ... მე-... კვარტლის #... კორპუსის ბინა #...-ში მდებარე თავის ფაქტობრივ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს მ. ტ-ე, რომლის პირადი

ჩხრეკისას ამოიღეს დიდი ოდენობით -0,0399 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 4 აბი და 2 აბის ნატეხი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ტ-ემ, რომელმაც საჩივრით ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მისი გამართლება, რის საფუძვლადაც მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, არ არის აგებული უტყუარ მტკიცებულებებზე და არ გამომდინარეობს სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული მასალებიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ტ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება მას არ ეკუთვნის, იგი არც ნარკოტიკების მომხმარებელია და არც გამსაღებელი; საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. ტ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისი გამართლებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო.

2010 წლის 17 მარტის #... ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: „მ. ტ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული, თეთრი, ოვალური ფორმის 4 მთლიანი აბი და ერთ მხარეს ოვალური ფორმის 2 თეთრი აბის ნატეხი, საერთო წონით -1,9968 გრამი, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ ნივთიერებას, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობა შეადგენს 0,0399 გრამს“.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: რ. თ-ის, ო. კ-ის, დ. ა-ის ჩვენებებით, დაკავების, ბინისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებით, #... ქიმიური ექსპერტიზის, ნარკოლოგიური შემოწმების #... დასკვნებით მ. ტ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. ტ-ის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით -ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში -ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის -საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების: რ. თ-ის, ო. კ-ის, დ. ა-ის მიერ წარმოდგენილ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებისა და ასევე მსჯავრდებულ გ. ბ-ის ჩვენებებს.

გ. ბ-ი ჩვენებებში აღნიშნავს, რომ იგი 2010 წლის 16 მარტს თბილისში, ე.წ. „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ეჭვმიტანილის სახით დააკავეს შსს „სოდის“ თანამშრომლებმა. დაკავებისთანავე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც მისი ქურთუკის გარეთა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს ოვალური ფორმის 2 აბი, რომელიც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დალუქეს, ხოლო იგი წაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. მას #... დასკვნით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ მოხმარების ფაქტი. მან განაცხადა, რომ აღნიშნული ნივთიერება 2-3 დღის წინ შეიძინა თავისი ცოლისძმის -მ. ტ-ისაგან, მაგრამ „ზუსტად არ ახსოვს -რამდენად, ალბათ, 2 აბი -400 ლარად“.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მ. ტ-ის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე დაყრდნობით. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტი-

კების გასაღების ნაწილში ნაკლებსარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მ. ტ-ე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. ტ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით –ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ამასთან, მ. ტ-ეს “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში –საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. ტ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით –ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

მ. ტ-ეს “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში –საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. სამოხელეო დანაშაული

განჩინება

#915-აპ-10

11 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. წ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განაჩენით გ. წ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის I ნაწილით (ექვსი ეპიზოდი) და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნ. ბ-ის ეპიზოდი) თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით –ჯარიმა 2000 ლარი, მასვე 1 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება; საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით (ბ. ც-ის ეპიზოდი) –თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის გამოყენებით, ამ ეპიზოდისათვის საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლისა და 5 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 1 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება; საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნ. ლ-ის ეპიზოდი) –ჯარიმა -1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (ბ. ხ-ის ეპიზოდი) –ჯარიმა, 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით (ა. გ-ის ეპიზოდი) –ჯარიმა -1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (მ. ც-ის ეპიზოდი) –თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის გამოყენებით, ამ ეპიზოდისათვის საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლისა და 5 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 1 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ გ. წ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 7 თვის ვადით. მასვე დაენიშნა ჯარიმა -5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და 3 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება. სასჯელის მოხდის ვადა მას აეთვალა 2009 წლის 24 სექტემბრიდან.

განაჩენით გ. წ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც იურიდიული პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერ ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (ექვსი ეპიზოდი).

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: გ. წ-ი 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2009 წლის 29 მაისამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის –აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-20-29-ე მუხლების შესაბამისად, გ. წ-ს ევალებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო ამავე კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, იგი ვალდებული იყო, მიეღო ყველა კანონიერი ზომა აღნიშნული გადაწყვეტილების სწრაფად აღსრულებისათვის, განემარტა მხარეებისათვის მათი უფლება-მოვალეობები, აღსრულების ცალკეული მხარეების შინაარსი და შესაძლებლობები, დახმარება გაეწია მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. 2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლდნენ პირები, რომლებმაც ადმინისტრაციული სა-

მართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება აღსრულებული არ იყო ამ კანონის ამოქმედებამდე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 თებერვლის დადგენილებით, ნ. ბ-ს 2008 წლის 5 თებერვალს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა -500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე 2008 წლის 17 მარტს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი #4-166, რომელიც 2008 წლის 9 ივნისს აღსასრულებლად დაეწერა აღმასრულებელ გ. წ-ს.

გ. წ-მა, იყო რა მოხელე და ვალდებული, აღსრულებინა ხსენებული სააღსრულებო ფურცელი, განიზრახა თავისთვის, ასევე სხვისთვის უპირატესობის მისაღებად სამსახურებრივი უფლება-მოსილება გამოეყენებინა ბოროტად და ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნათა დარღვევით შეეწყვიტა სააღსრულებო წარმოება ნ. ბ-ის მიმართ.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე ნ. ბ-ისათვის უპირატესობის მისანიჭებლად, მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან განთავისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობისა, გასცა განკარგულება ნ. ბ-ის მიმართ არსებულ სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეწყვეტის შესახებ, რამაც იურიდიული პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (პირველი ეპიზოდი).

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 აგვისტოს დადგენილებით, ბ. ც-ს 2008 წლის 17 აგვისტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 128² მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა -100 ლარი და ასევე დაეკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანის -313 ლარისა და 6 თეთრის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე 2008 წლის 20 სექტემბერს, გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი #12, რომელიც 2008 წლის 28 ოქტომბერს აღსასრულებლად დაეწერა აღმასრულებელ გ. წ-ს.

გ. წ-მა, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე ბ. ც-ისათვის უპირატესობის მისანიჭებლად, მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან განთავისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობისა, გასცა განკარგულება ბ. ც-ის მიმართ არსებულ სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეწყვეტის შესახებ, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (მეორე ეპიზოდი).

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის დადგენილებით, ნ. თ-ს 2008 წლის 16 ივნისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა -ხუთი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე 2008 წლის 20 აგვისტოს, გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი #20, რომელიც 2008 წლის 28 ოქტომბერს აღსასრულებლად დაეწერა აღმასრულებელ გ. წ-ს.

გ. წ-მა, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე ნ. თ-ისათვის უპირატესობის მისანიჭებლად, მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან განთავისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობისა, გასცა განკარგულება ნ. თ-ის მიმართ არსებულ სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეწყვეტის შესახებ, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (მესამე ეპიზოდი).

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით, ბ. ხ-ს 2007 წლის 25 დეკემბერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა -100 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე 2008 წლის 23 ივნისს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი #176, რომელიც 2008 წლის 31 ოქტომბერს აღსასრულებლად დაეწერა აღმასრულებელ გ. წ-ს.

გ. წ-მა, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე ბ. ხ-ისათვის უპირატესობის მისანიჭებლად, მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან განთავისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობისა, გასცა განკარგულება ბ. ხ-ის მიმართ არსებულ სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეწყვეტის შესახებ, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (მეოთხე ეპიზოდი).

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, ა. გ-ს 2007 წლის 22 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა -20 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე 2008 წლის 20 მარტს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი #34, რომელიც 2008 წლის 31 ოქტომბერს აღსასრულებლად დაეწერა აღმასრულებელ გ. წ-ს.

გ. წ-მა, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე ა. გ-ისათვის უპირატესობის მისანიჭებლად, მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან განთავისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობისა, გასცა განკარგულება ა. გ-ის მიმართ არსებულ სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეწყვეტის შესახებ, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (მეხუთე ეპიზოდი).

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის დადგენილებით, მ. ც-ს 2007 წლის 3 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 64¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენისათვის სახდელის ზომად დაენიშნა ჯარიმა -400 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და ასევე დაეკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანის -19 ლარისა და 14 თეთრის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე 2008 წლის 10 ივლისს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი #02, რომელიც 2008 წლის 5 სექტემბერს აღსასრულებლად დაეწერა აღმასრულებელ გ. წ-ს.

გ. წ-მა, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე მ. ც-ისათვის უპირატესობის მისანიჭებლად, მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან განთავისუფლების შესახებ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არარსებობისა, გასცა განკარგულება მ. ც-ის მიმართ არსებულ სააღსრულებო საქმეზე აღსრულების შეწყვეტის შესახებ, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (მეექვსე ეპიზოდი).

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. წ-მა, რომელიც საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. წ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. წ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. წ-ი იყო მოხელე (იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის -აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მოვალეობის შემსრულებელი) და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ევალეზობდა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება. 2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ", რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული სახდელისაგან თავისუფლდებოდნენ ადმინისტრაციულსახდელდადებული პირები, რომლებმაც ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2007 წლის 1 დეკემბრამდე. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილია, რომ გ. წ-მა შეწყვიტა ექვსი სააღსრულებო წარმოება იმ სააღსრულებო საქმეებზე, რომლებიც ზემოხსენებული კანონის საფუძველზე შეწყვეტას არ ექვემდებარებოდა.

ჩადენილი ქმედებისათვის გ. წ-ს მსჯავრი დაედო ექვსი დამოუკიდებელი ეპიზოდის გამო, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ასევე, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც იურიდიული პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის შემადგენლობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღება (მოტივი, მიზანი). სააპელაციო სასამართლოს დასკვნაში გ. წ-ის მიერ ასეთი უპირატესობის სხვისთვის მინიჭებად მიჩნეულია მის მიერ კანონდარღვევით შეწყვეტილი სააღსრულებო წარმოების შედეგად შესაბამისი სამართალდამრღვევებისათვის (რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების საფუძველზე ევალებოდათ სხვადასხვა ოდენობით ჯარიმის თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა) უპირატესობის მინიჭება, ხოლო თავისთვის უპირატესობის მიღებად მიჩნეულია ის გარემოება, რომ აღნიშნული ექვსი საქმის შეწყვეტით გ. წ-ს მათზე აღარ მოუწევდა ძალზე შრომატევადი სააღსრულებო მოქმედებების შესრულება, რადგან ისედაც "ზღვა საქმე" ჰქონდა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და განმარტავს, რომ გამორჩენის ან უპირატესობის მიღება შეიძლება გამოიხატოს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მეშვეობით დამნაშავეის მისწრაფებაში - მიიღოს რაიმე მატერიალური გამორჩენა თავისთვის ან სხვა პირთათვის, სახელმწიფო სახსრების ხარჯზე. გამორჩენის ან უპირატესობის მიღებას შეიძლება არაქონებრივი ხასიათიც ჰქონდეს, თუმცა, როგორც მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, გ.წ-ს არავითარი პირადი ნაცნობობა არ აკავშირებდა იმ ექვს ადამიანთან, რომელთა სააღსრულებო წარმოებები კანონდარღვევით იქნა შეწყვეტილი. შესაბამისად, არ შეიძლება სრულიად უცნობი პირებისათვის უპირატესობის მინიჭების მიზანი მოცული ყოფილიყო მისი განზრახვით. ამასთან, გ. წ-ის მიერ განხორციელებული კონკრეტული მოქმედება - სააღსრულებო წარმოებათა შეწყვეტა, შრომატევადი სააღსრულებო პროცედურების თავიდან არიდების მოტივით, ასევე, ვერ განიხილება მისთვის უპირატესობის მინიჭებად, ვინაიდან აღნიშნული მოქმედება არ გამოხატავს საკუთარი თავისთვის უპირატესობის მინიჭების შინაარსს.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ გ. წ-ს ყველა ახალი სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისას არ აღძვრია დამოუკიდებელი დანაშაულებრივი განზრახვა. მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ რამდენიმე ქმედებას. გ. წ-ის მიერ განხორციელებული ერთი და იმავე ხასიათის რამდენიმე დანაშაულებრივი აქტი (თითოეული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა), მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ერთიანი ჯაჭვის რგოლები, ქმედებები ერთმანეთისგან დროის მოკლე მონაკვეთებით გამოიყოფიან. ამდენად, ისინი ცალ-ცალკე არ ქმნიან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია სრულად, მაგრამ, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, გ. წ-ის მსჯავრდება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში (ექვსი ეპიზოდი) ემყარება არასწორ დასკვნას, დანაშაულებრივი ქმედების არასწორი კვალიფიკაციით. გ. წ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც მისი სანდოობის, დასაშვებობისა და შესახებობის თვალსაზრისით საკმარისია დასკვნისათვის, რომ მან ჩაიდინა სამოხელეო დანაშაული - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია). შესაბამისად, ქმედება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 333-ე მუხლის I ნაწილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. წ-ის სასიკეთოდ, კერძოდ: მსჯავრდებულ გ. წ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილი ბრალდება (ექვსი ეპიზოდი) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს: თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით, ასევე, დამატებითი სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა -2000 ლარი. მასვე 1 წლის ვადით უნდა ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. წ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. წ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილი ბრალდება (ექვსი ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 9 თვის ვადით, ასევე, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნოს ჯარიმა -2000 ლარი. გ. წ-ს 1 წლის ვადით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.